პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 15 (1444), პარასკევი, 9 აპრილი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ასეთი იყო ლენინი

კრებული „ასეთი იყო ლენინი. თანამედროვეთა მოგონებანი" ახლახან გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. ეს წიგნი შეიქმნა ვ. ი. ლენინის ნათესავებისა და მეგობრების, მისი თანამებრძოლების, ძველი ბოლშევიკების, საერთაშორისო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ვეტერანების, მწერლების მოგონებების მიხედვით. წიგნში მოყვანილია ვლადიმერ ილიას ძის თანამედროვეთა, ლენინური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების — გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ნ. კ. კრუპსკაიას, ა. ვ. ლუნაჩარსკის, გ. ი. პეტროვსკის, ა. ვ. ბაბუშკინის, ი. ე. რუძუტაკის, ნ. ა. სემაშკოსა და სხვათა აღელვებული მოგონებები. წიგნის მასალები ასახავს ილიჩის — რევოლუციის დიდი ბელადისა და გენიოსის, მეგობრის, ამხანაგის, ადამიანის დაუვიწყარ სახეს.

კრებულში შემდეგი თავებია: „რევოლუციონერთა პარტიის დამაარსებელი და ბელადი", „რევოლუციის გენია", „ახალი საზოგადოების ხუროთმოძღვარი", „მარად ხალხთან", „დიადი და უბრალო". მოგონებათა უმრავლესობა პირველად იბეჭდება, ზოგიერთი მათგანი შემოკლებით არის გამოცემული.

წიგნს დართული აქვს შესავალი „მკითხველებს", რომელიც დაწერა 1898 წლიდან სკკპ წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ა. კარპინსკიმ.

ლენინის ორდენი

ოცდათხუთმეტი წელი შესრულდა ლენინის ორდენის დაწესებიდან.

ლენინის ორდენი ბრწყინავს საბჭოთა საქართველოს დროშაზე. ეს უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს მოკავშირე რესპუბლიკებმა, ბევრმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, ქალაქმა, ფაბრიკამ, ქარხანამ, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, თეატრმა.

ამ უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნება მუშათა კლასის, კოლმეურნეთა და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა განსაკუთრებული დამსახურება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამ უმაღლესი ჯილდოთი ამაყობს ქართული საბჭოთა მწერლობაც, რომლის გამოჩენილი წარმომადგენლების — გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის დიდი დამსახურება ლენინის ორდენით აღინიშნა.

ყველაზე ხალხური და საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, ახალი შემოქმედებითი და შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს.

მხატვრის სახელოსნოში

ფიქრები მოლბერტთან



შეხვედრა. ნახ. უჩა ჯაფარიძისა.

ჩვენ ერთ თვეზე მეტია საქართველოს მხატვართა კავშირში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნამუშევართა გამოფენა „იტალია მხატვრის თვალით". ეს არის უჩა ჯაფარიძის ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში იტალიაში მოგზაურობის შესახებ.

გამოფენა მეტად საინტერესოა. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები უმეტესად ფანქრით არის შესრულებული და ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მხატვარმა ჩქარა მოიტანა ის, რაც მან თვალის ერთი გადავლებით აღიქვა, რაც ალბომში მოიყვანა.

— როცა უცხოეთში მიდიხარ, — გვეუბნება უჩა ჯაფარიძე, — უამრავი შთაბეჭდილება იქნება, იქიდან სამახსოვროდ არ ჩამოიტანო რამე. მხატვრისთვის ასეთი სამახსოვრო რამ ჩანახატებია. მაგრამ როცა უამრავი იქნება, უცხოეთში ჩახვალ და მთელი შენი დრო მხოლოდ-მხოლოდ ხატვას მოანდომო. ამიტომ ჩემი გამოფენა — „იტალია მხატვრის თვალით" — ძალზე უპრეტენზიოა. იგი არც ქრონოლოგიურ სიზუსტეს ექვემდებარება. მე მოვიარე ბევრი მუზეუმი, ბევრი მენახა და ამასთანავე ბევრი ჩანახატიც გავაკეთე.

— თქვენ კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ ჩვენს შინაურ წრეში (მე ვგულისხმობ ჩვენს მხატვრებს) გამოფენამ არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება.

ვათვალიერებთ გამოფენას. პირველივე ნახატი ყურადღებას იპყრობს შესრულების მანერით. თავისუფალი მონასმი, რბილი ტონალობა, სიღრმე... ეს ყველაფერი დამახასიათებელი და ბუნებრივია.

მეორე დღეს უჩა ჯაფარიძეს სახელოსნოში ვესტუმრეთ. ყველაფერს, რაც შექმნა მხატვრის ხელმა, აქვს განსაკუთრებული მომხიბვლელობა. მათში იგრძნობა სიცოცხლის სიყვარული, სითბო, გონებამახვილობა.

კუთხეში, მოლბერტზე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნამუშევარი მოჩანს.

— ამ ნახატს „შეხვედრა" ჰქვია, — გვეუბნება მხატვარი, — მე კარგა ხანია ვფიქრობ ჩვენი თანამედროვეობის ამსახველ სერიაზე. „შეხვედრაც" ამ სერიას მიეკუთვნება. ამ ნაწარმოებში მე მინდა გადმოვცე ჩვენი სოფლის მშრომელ ადამიანთა განწყობილება. ამ განწყობილების გადმოსაცემად გზა ვიპოვნე. თუ როგორი გამოვა იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— ხომ არ გაგვიზიარებდით თქვენს შემოქმედებით გეგმებს?

— მე არ მიყვარს მომავლის გეგმებზე ლაპარაკი. საერთოდ, ამ მხრივ არა ვარ მაინცდამაინც გულგახსნილი. შემიძლია გითხრათ, რომ მთელი ჩემი ორი წელი რევოლუციის თემას იქნება დაკავებული. ეს თემა მთელი ჩემი ცხოვრების თემაა, ხოლო კონკრეტულად როგორ შევასხამ ფრთებს ამ იდეებს, ეს ჩემს საიდუმლოდ დარჩეს.

ახლახან დაბრუნდით მოსკოვიდან. საკავშირო კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს სხდომა გქონდათ, რომელზედაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადების საკითხები განვიხილეთ. ამ სხდომაზე განვიხილეთ პროექტი თუ როგორი უნდა იყოს 1967 წლის გამოფენა და რა პირობები უნდა შეექმნათ მხატვრებს.

— პირადად თქვენ მიიღებთ თუ არა ამ გამოფენაზე მონაწილეობას?

— უსათუოდ. მე უკვე შევუდექი კიდეც ერთ დიდ ნაწარმოებზე მუშაობას.

— როცა თქვენს სახელოსნოში ამოვდიოდით, დერეფანში, თქვენი სურათის „გზის დალოცვა" რეპროდუქციას მოვკარით თვალი. ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ 1959 წელს ამ სურათმა საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო. საიდან არის ახლა ეს სურათი?

— ამ სურათს ძალზე უცნაური ბედი ეწია, — გვიამბობს უჩა ჯაფარიძე, — ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ქვეყნის მხატვართა გამოფენა მოეწყო. ამ გამოფენის ერთი ნაწილი თანამედროვე საბჭოთა მხატვრობას ეძღვნებოდა. გამოფენის დათვალიერების დროს ეიზენჰაუერს ძალიან მოსწონებია მოსკოველი მხატვრის გრიცაის და ჩემი ნახატები. მან ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებისათვის უთხოვია მიეყიდათ ეს სურათები. ჩვენმა მთავრობამ კი საჩუქრად გადასცა ისინი... მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, ხანდახან ვფიქრობ, კიდევ ხომ არ დავხატო ისეთი სურათი? მაგრამ არა... რაც ერთხელ გაკეთდა, მისი განმეორება აღარ შეიძლება.

— რა მიგაჩნიათ თანამედროვე მხატვრობის ყველაზე აქტუალურ პრობლემად?

— მე მგონი, ბევრი რამ, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო თანამედროვეობის ობიექტური ასახვა. დღეს ჭეშმარიტ მხატვარს ნათლად შეუძლია დაინახოს წარსული, დაინახოს მომავალი, დაინახოს ის გზები, რომლებითაც საბჭოთა მხატვრობა მოვიდა აქამდე.

— თქვენს რომელ ნამუშევარს სთვლით ყველაზე საუკეთესოდ?

— იმას, რომელიც ჯერ არ შემიქმნია. ვიცი, იფიქრებთ, რომ ეს ტრაფარეტული ნათქვამია. მაგრამ ეს ფაქტია და, განსაკუთრებით, ამას ჩემთვის აქვს მნიშვნელობა. მე ხომ ისეთ ასაკში ვარ, როცა კაცი თავისი ცხოვრების ჰორიზონტს ხედავს. ამიტომ უფლება არა მაქვს არ ვიჩქარო.

ს. გიორგაძე

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

ამ დღეებში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის აპრილის სესია.

1965 წლისათვის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნამუშევართა განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საზოგადოებრიობამ. კონკურსში მონაწილეობისათვის დატოვებული კანდიდატურების შესახებ მასალების, საზოგადოებრივი განხილვისა და დისკუსიის შესწავლის შემდეგ კომიტეტი თავის გადაწყვეტილებას გამოაქვეყნებს ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისათვის.

დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეო საღამო

8 აპრილს ზეიმით აღინიშნა კომპოზიტორთა ეროვნული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი კომპოზიტორის, მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 90 წლისთავი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე კომპოზიტორის მრავალი თაყვანისმცემელი მოვიდა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ შ. მშველიძემ. მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გ. ჩხიკვაძემ.

დამსწრეებს თავიანთი მოგონებები გაუზიარეს და სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ა. მაჭავარიანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა ა. ჩიმაკაძემ, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორმა ი. ბერიძემ, ერევნის კონსერვატორიის რექტორმა ლ. სარიანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა, აზერბაიჯანის სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა დ. კაღიმოვმა, სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა, მუსიკათმცოდნე მ. ხაშბამ, თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა ნ. ფარქოსაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა.

დარბაზში გაისმა დიმიტრი არაყიშვილის დაუვიწყარი ხმა. ეს იყო მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი სიტყვა, რომელიც კომპოზიტორმა წარმოთქვა დაბადების ოთხმოცი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე.

საღამოს მეორე განყოფილებაში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობებმა შეასრულეს დ. არაყიშვილის ოპერის — „თქმულება შოთა რუსთაველზე" — ნაწყვეტები და კომპოზიტორის რომანსები.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, დ. გ. სტურუა, მ. ი. კუჭავა.

პოეზიის დღე

მუშაობას შეუდგა სარედაქციო კოლეგია კრებულზე — „პოეზიის დღე, 1965" (მთავარი რედაქტორი ვ. ფედოროვი), რომელიც მიმდინარე წელს მოსკოვში პოეზიის დღისათვის გამოვა. ეს ყოველწლიური კრებული წელს უკანასკნელად გამოიცემა. ამ კრებულს მოჰყვება ჟურნალი „პოეზია".

„პოეზიის დღის" სარედაქციო კოლეგიის განზრახვაა კრებული თავისი ხასიათით მიუახლოვოს პოეტურ ჟურნალს. ამისათვის კოლეგია შეარჩევს საუკეთესოსა და თანამედროვე პოეზიისათვის ტიპურ ნაწარმოებებს. კრებულში გამოქვეყნდება ლექსების ციკლები. კრებულს ექნება ახალი განყოფილება „პოეტები, კრიტიკოსები და მკითხველები პოეზიის შესახებ", რომელშიც დაიბეჭდება როგორც მეცნიერთა, ხელოვნების ოსტატთა და წარმოების მუშაკთა, ისე პოეტების წერილები პოეტურ ნაწარმოებებზე. კრებულში, როგორც წინათ, ადგილი დაეთმობა დამწყებ თუ ახლა ნაკლებად ცნობილ პოეტებს.

„ადამიანი მიაბიჯებს კოსმოსში"

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მოსკოვში მასობრივი ტირაჟით გამოსცა ბ. კონის, ბ. ლუკიანოვის და ა. რომანოვის წიგნი „ადამიანი მიაბიჯებს კოსმოსში", რომელიც მიძღვნილია კოსმოსური ხომალდის „ვოსხოდ-2"-ის გმირული ეკიპაჟისადმი.

„კოსმოსური ერის ახალი დღე" — ასე ჰქვია თავს, რომელშიც გაშუქებულია ახალი თვალსაჩინო კოსმოსური ექსპერიმენტი. შემდეგ თავებში მოთხრობილია პ. ბელიაევისა და ა. ლეონოვის მამაცობის ამბები.

მკითხველი წიგნში გაეცნობა იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება გაფრენისათვის და როგორ აფრინდა ხომალდი. წიგნის დასასრულს მოყვანილია მრავალრიცხოვანი გამოხმაურება საზღვარგარეთული პრესისა, რომელმაც ამ გაფრენას მეცნიერების ტრიუმფი, გმირობის ეპოპეა უწოდა.

თქვენ გიკვირთ...

ალიო მირცხულავა

თქვენ გიკვირთ: თუმცა დამდგა სიბერე,
მაინც მონუსხად არ ვიწერები,
რომ არ ჩაქრალა ჩემი მხათობი,
არ იბინდება ძველი დიდება...
მშვიდი სიბერეც არ შევიფერე,
არ მომიშვია თეთრი წვერები, —
ბრწყინავს კალამი ცეცხლში ნაწრთობი,
მას დროთა ჟანგი არ ეკიდება.

თქვენ ალბათ ისიც გეუცხოვებათ,
რომ თვალი მიჭრის და ვწერ ადვილად,
გონების ხედვაც ანათებს დიდხანს,
სადაც უსაზღვრო ნაპირებია...
რომ სამოცი წლის მთელი ცხოვრებაც,
დასაბამითვე ნათლად, ნამდვილად, —
ისე მიხილავს და წამიკითხავს,
სათვალე აღარ დამჭირებია.

თემა: რევოლუციის ისტორია

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით, უმაღლესი ლიტერატურული კურსების ბაზაზე შეიქმნა ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე მომუშავე მწერალთა სპეციალური ორთვიანი კურსები.

კურსების მსმენელთათვის წაკითხული იქნება ლექციები ფილოსოფიის, ესთეტიკის, ეკონომიკის, ლიტერატურის საკითხებზე, მსმენელთ საშუალება ექნებათ გაეცნონ ძვირფას საარქივო დოკუმენტებს, მუზეუმებსა და არქივებში დაცულ იშვიათ ბეჭდვით გამოცემებს და ხელნაწერებს.

მწერლები შეხვდებიან ძველ ბოლშევიკებს, სამი რევოლუციის მონაწილეებს, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანებს, მეცნიერ-ისტორიკოსებს, მოწინავე საბჭოთა ლიტერატორებს, მხატვრებს, რეჟისორებს. ისინი გაეცნობიან რევოლუციურ მოვლენებთან დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ ადგილებს.

კურსები, რომელზეც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მოვიდა 35 მწერალი, ამ დღეებში გაიხსნა.

მან გაიარა სიკვდილის ხიდზე

ცხრაას ორმოცდახუთის თებერვლის ღამე იყო. ტყვე ქალებით გაჭედილი მატარებელი ტყეში შეჩერდა. ჟანგმოკიდებული ბოქლომები გახსნეს და ვაგონების კარები გააღეს. პროჟექტორების დამაბრმავებელი შუქი დაეცათ სახეზე ტყვეებს.

— ჩქარა, ჩქარა! — ყვიროდნენ გერმანელი ჯარისკაცები და კონდახების ცემით გადმოჰყავდათ დასუსტებული, მშიერი და გაყინული ქალები. ორ-ორად დააწყვეს. ტყვე-ტყვე წაიყვანეს. მალე გამოჩნდა ქვის მაღალი ღობე. ჭიშკარი გაიღო. სად არიან? სად მოიყვანეს?

რავენსბრუკი — ასე ერქვა ამ ადგილს, რომელიც ქართულ ენაზე ყვავის ხიდს ნიშნავს. მაგრამ ეს იყო სიკვდილის ხიდი, და ამ ხიდზე გაიარა ქართველმა ქალმაც.

ქეთევან ხომერიკი... სამედიცინო დების კურსების დამთავრებისთანავე მოხალისედ წავიდა არმიაში. კრასნოდარიდან ყირიმში მოხვდა. სამხედრო-საზღვაო ქვეითი ჯარის მეშვიდე ბრიგადაში (ბრიგადას გენერალ-მაიორი ვ. ციდილიძე მეთაურობდა) მყოფი ქართველი ქალიშვილი მთელი ბრძოლების მანძილზე გმირი ქალაქის — სევასტოპოლის დამცველთა რიგებში იყო. და როდესაც მტრებმა ქალაქს გადაუჭრეს უკანასკნელი არტერია, რომლითაც იგი დიდ მიწას იყო დაკავშირებული, ქეთევან ხომერიკი ბრიგადის სანიტარული ნაწილის უფროსთან ასა პოლონსკაიასთან ერთად დაჭრილებთან დარჩა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი გერმანელებმა დაატყვევეს.

ტყვეებს მთელ თვეს ატარებდნენ ყირიმის მტვრიან გზებზე. არ ჰქონდათ წყალი და საჭმელი. მიდიოდნენ დუმილით, ზოგი ეცემოდა გზაზე. ვისაც ადგომა და წასვლა აღარ შეეძლო იქვე ხვრეტდნენ.

და აი ახლა ცოცხლად გადარჩენილი ტყვე ქალები რავენსბრუკში არიან. ამ [illegible] ბევრი ტყვე შემოიყვანეს.

რავენსბრუკში ქეთოს, როგორც ათასობით სხვას, სახელი და გვარი აღარ ჰქონდა. მისი სახელი იყო — ტყვე № 17430, ხოლო სახელოზე სამკუთხიანი წითელი ნაჭერი მიაკერეს, რომელზედაც აწერებული იყო „SU" (ორი დასაწყისი ასო სსრ კავშირისა).

დაიწყო ჯოჯოხეთური დღეები. შიმშილი, სიშიშვლე, მძიმე შრომა. ჰქონდათ სანიტარული დღეც. უბრძანებდნენ თოვლში და ყინვაში მთლიანად გაშიშვლებას, შემდეგ ესესელი ზედამხედველი ქალები ისინი ცემით და იძულებით შეჰყავდათ ონკანების ქვეშ, საიდანაც ცივი წყალი ჩამოდიოდა.

ყოველ ასეთ სანიტარულ დღეს რამდენიმე ადამიანი კვდებოდა.

ყველა წვრილმანისთვის სჯიდნენ. სასტიკი სასჯელები იყო დაწესებული. დღეობით ამუშავებდნენ უძილოდ, უჭმელად. ამწყვდევდნენ ცივ კარცერებში და სინათლეს უკრძალავდნენ. იყო საჯარიმო ბლოკიც. დაჯარიმებულებს აიძულებდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულებას. მათ სჯიდნენ ჯოხის ოცდახუთი დარტყმით. საჯარიმო ბლოკის შემდეგ ბევრი ქალი კვდებოდა ან გონებას კარგავდა.

თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა ბანაკის ზედამხედველი, ოცდაათი წლის ლამაზი ესესელი ქალი დოროთეა ბინცი. ის ნამდვილი სადისტი იყო. შეუმჩნევლად მიეპარებოდა ხოლმე ტყვე ქალებს და სასტიკად სცემდა ჯოხით, მათრახით, ფეხით. მას კიდევ ერთი გასართობი ჰქონდა — [illegible] და [illegible] ქალებს. (დოროთეა ბინცი სიკვდილით დასაჯეს 1947 წელს).

ტყვე საბჭოთა ქალები, მიუხედავად ამ უკიდურესი პირობებისა, უარს ამბობდნენ გერმანელთა სამხედრო ქარხნებში მუშაობაზე. გესტაპოელთა ტანჯვა-წვალებამ ვერ გატეხა მათი ნებისყოფა.

შემოდგომის ერთ დღეს 56 ტყვე ქალი მოიყვანეს ბარაკში, სადაც ფირმა „მაუზერვერკეს" საავიაციო ქარხანა იყო. ისინი დააწყვეს და უბრძანეს შეუდგნენ სამუშაოებს. არც ერთი ქალი არ დაიძრა ადგილიდან. იდგნენ ერთ საათს, ორს, სამს... შეიცვალა ცვლა. გათენდა მეორე დღეც. ტყვე ქალები ისევ იდგნენ. მათი წინააღმდეგობის გასატეხად გერმანელებმა მთლიანად გაშიშვლება უბრძანეს. შიშველი ქალები იყინებოდნენ, მაგრამ მაინც ადგილიდან არ იძვროდნენ.

მაშინ გერმანელებმა ჯგუფიდან გამოიყვანეს ოთხი ქალი. შემდეგში უარის თქმის შემთხვევაში ამ ოთხს დახვრეტდნენ. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, დათანხმებულიყო. მაგრამ მათ ხელი მიჰყვეს სისტემატურ საბოტაჟს. იმტვრეოდა და ფუჭდებოდა ხერხები და დანები.

[illegible] ირინა ლოზოვაია აგიტაციას ეწეოდა და არ მუშაობდა. ერთ დღეს მას ზურგიდან ესესელი ქალი მიეპარა და ფეხზე გავარვარებული რკინა დაადო. ირინამ ჯოჯოხეთური ტკივილისაგან გრძნობა დაკარგა. იგი გონზე ქარხნის საავადმყოფოში მოვიდა. თავზე ედგა ლამაზი, ტანკენარი ქართველი ქალიშვილი ქეთო ხომერიკი.

საავადმყოფოში გერმანელ ექიმებთან ერთად ექიმად და ექთნად მუშაობდნენ სამხედრო ტყვეებიც. უშიშარი და გაბედული ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის რისკით ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ავადმყოფ ტყვეებს. მათ შორის იყო ქეთო ხომერიკიც. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა ამ ქალმა!

ტყვეთა გულს ბრძოლა სწყუროდა. ბანაკში შეიქმნა ინტერნაციონალური კომუნისტური რკალი. რკალმა ბანაკის ყოველ ობიექტს მიაწვდინა თავისი წარმომადგენელი, რომლებიც ახორციელებდნენ რკალის გადაწყვეტილებებს. ამ რკალში ბევრი საბჭოთა ტყვე ქალი შედიოდა. რკალში საბჭოთა ტყვეები იყვნენ: ეკატერინა კლევი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ი. ლოზოვაია, ქ. ხომერიკი, ა. ხილუვა, ლ. ბოიკო, ვ. უდოვენკო — სულ 20 ქალი.

კომუნისტური რკალი ხელმძღვანელობდა საბოტაჟს, ავრცელებდა პროკლამაციებს, მოაწყო პოლიტმეცადინეობის წრე.

1944 წლის 6 ნოემბერი იყო. ოქტომბრის რევოლუციის 27 წლისთავის წინა დღე. საბჭოთა ქალებმა საიდუმლოდ იშოვეს წითელი საღებავი და ზეწარი შეღებეს. ტილოზე ცარცით წააწერეს „СССР". ღამით აიპარნენ ერთ-ერთი შენობის სახურავზე და ეს ტილო ჩამოკიდეს.

დილით სამუშაოზე მიმავალმა ტყვეებმა დაინახეს დროშად ქცეული ტილო, რომელსაც ქარი აფრიალებდა. მათს სახეებზე სიხარული აციალდა. ფაშისტები საშინლად განრისხდნენ. ბევრი ტყვე დასაჯეს.

„[illegible]" — ასე შეარქვეს ტყვე ქალებმა საწოლის მესამე სართულს. მძიმე იყო იქ ასვლა უმძიმესი შრომის შემდეგ, მაგრამ ამ მესამე სართულზე მჯდომი ქალები მთელ ღამეს ჩურჩულით მსჯელობდნენ თავიანთ საბრძოლო გეგმებზე.

„ყველაფერი ესესელთა წინააღმდეგ, ყველაფერი ამხანაგებისათვის!" ასეთი იყო ბანაკის მამაცი ტყვეების დევიზი. მათ აერთიანებდათ სიძულვილი ფაშიზმისადმი.

როდესაც გერმანელები „შავი ტრანსპორტისათვის" (ამ ტრანსპორტით უნდა წაეყვანათ დაავადებული და დასუსტებული ქალები) არჩევდნენ საბჭოთა ქალების დიდ ჯგუფს, რათა შემდეგ ისინი მოესპოთ მაიდანეკის ღუმელებში, ტყვე ქალებმა პროტესტის ნიშნად სამი დღის შიმშილობა გამოაცხადეს. ფაშისტები იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე.

1945 წლის აპრილს ფრონტი რავენსბრუკს უახლოვდებოდა. ესესელები პანიკამ მოიცვა. მათ ბანაკიდან გამოიყვანეს ცოცხლად დარჩენილი ტყვე ქალები და დასავლეთისაკენ გარეკეს, საიდანაც ინგლისელები და ამერიკელები მოდიოდნენ.

ქეთევან ხომერიკი, რამდენიმე სხვა ტყვესთან ერთად, გაიქცა და რამდენიმე დღის განმავლობაში, ვიდრე პირველი საბჭოთა ტანკები გამოჩნდებოდნენ, შორიახლო ტყეში იმალებოდა. ეს იყო 1945 წლის 30 აპრილი.

დადგა დღე, როცა [illegible] და გაუტეხელ ქართველ ქალს მკერდიდან ჩამოაგლიჯეს წყეული ნომერი „17430".

გავიდა ოცი წელი.

მოდის წერილები, ათობით, ასობით... კონვერტებზე დარტყმულ ბეჭდებზე ამოიკითხება ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქების სახელი. ქეთო ხომერიკს სწერენ ბანაკის მეგობრები, სრულიად უცნობი ადამიანები, ახალგაზრდები, რომელთა მშობლებიც დაიღუპნენ ფაშიზმის სიკვდილის ბანაკებში.

გავიდა ოცი წელი, მაგრამ ქ. ხომერიკისათვის ომი წარსულად არ ქცეულა. იგი ტკივილად დარჩა, რომელიც არასოდეს არ ყუჩდება და, როცა ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თუ თავის ფრონტელ და ტყვეობის მეგობრებთან ლაპარაკობს, ამ მრავალტანჯულმა ქალმა იცის ფასი მშვიდობისა, ადამიანური წუხილისა და ბედნიერებისა.

ქეთევან ხომერიკი აქტიურ მუშაობას ეწევა ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტში. იგი მონაწილეობდა რავენსბრუკის ყოფილ ტყვეთა და სევასტოპოლის დამცველთა შეხვედრებში. სულ ახლახანს იგი იყო მოსკოვში, სადაც რავენსბრუკის ტყვეები შეხვდნენ ოსვენციმის ტყვეებს. ისინი შეიკრიბნენ, რათა მთელი ყველა პატიოსანი ადამიანის პროტესტისათვის შეერთებინათ თავიანთი ხმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც აშკარად მფარველობს ფაშისტ დამნაშავეებს.

— დიახ, ოცი წელი გავიდა, თუნდაც ასი წელი გავიდეს! ვერაფერი ვერ გაამართლებს ფაშისტ დამნაშავეებს, — ამბობს ქეთევან ხომერიკი — ათასობით დაღუპულის სახელით ჩვენ მოვითხოვთ ფაშისტ დამნაშავეთა დასჯას, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.

მ. პართანოვა,
რ. მეგრელიშვილი.

1945–1965

[illegible]

ფოტო ა. [illegible]

ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე

ალექსანდრე გარამიძე

1962 წელს დასავლეთ-გერმანიის ცნობილ ორიენტალისტურ ორგანოში (Handbuch der orientalistik. Erste Abteilung· Der Nahe und der Mittlere Osten. VII. ლეიდენ-კიოლნი) გამოქვეყნდა აწ განსვენებული ქართველოლოგის პროფ. გერჰარდ დეეტერსის (1892-1961) ნარკვევი „ქართული ლიტერატურა" (გვ. 129-155). ნარკვევი მცირე მოცულობისაა, დაწერილია ძალიან შემჭიდროებულად, ენციკლოპედიური შრომებისათვის დამახასიათებელი საქმიანი და რამდენადმე მშრალი სტილით. წერილს საინფორმაციო-საცნობარო დანიშნულება აქვს და მოკლედ იხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას.

მკვლევარი გულისტკივილით გამოთქვამს „ბევრი წყაროს" ხელმიუწვდომლობის გამო, რაც ზოგიერთ შეცდომას ამაცდენდაო. ვწუხვარ, — დასძენს, რომ ახალი პუბლიკაციების უქონლობამ მაიძულა უარი მეთქვა ფოლკლორის მიმოხილვაზეო.

ქართულ ლიტერატურას გ. დეეტერსი ოთხ პერიოდად ყოფს: 1. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (მე-5-მე-11), 2. შუასაუკუნეების პოეზია (მე-11-მე-13), 3. აღორძინება, განმანათლებლობა, რომანტიზმი (მე-16-მე-19-ის ნახევარი), 4. ახალი ქართული ლიტერატურა. იგი ამბობს, მე-13-მე-14 საუკუნეები მწერლობის დაცემით ხასიათდებაო.

გ. დეეტერსი ფიქრობს, რომ ქართული ანბანის შემოღება და მწერლობის დასაწყისი უნდა უკავშირდებოდეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას. სასულიერო მწერლობის მიმოხილვისას მკვლევარი შედარებით უფრო ვრცლად ჩერდება ორიგინალურ ქართულ აგიოგრაფიაზე და ჰიმნოგრაფიაზე, დიდად აფასებს იაკობ ცურტაველისა და გიორგი მერჩულეს ნაწერებს. „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" სცილდება „ცხოვრებათა" ჟანრის ფარგლებსო, მიქელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის ხანიტი ნიშნები საბოლოოდ გაშიფრული არ არისო. მისი სიტყვით, „არაფერი წინ არ გვეღობება ვერწმუნოთ გადმოცემას, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან გადაიღო ბერძნულ ენაზე „სიბრძნე ბალავარისა"".

შუასაუკუნეთა საისტორიო ძეგლების, „პროზაული სარაინდო რომანების" („ამირანდარეჯანიანისა" და „ვისრამიანის") და საერო-სახოტბო პოეზიის დახასიათების შემდეგ გ. დეეტერსი ცალკე თავში — „ქართული ნაციონალური ეპოსი" — იხილავს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანს". ამას დეეტერსის ნაშრომის ცენტრალური, მოცულობით ყველაზე უფრო დიდი ადგილი უჭირავს. „ვეფხისტყაოსანს" მკვლევარი უწოდებს მსოფლიო მნიშვნელობის „ეროვნულ ეპოსს, რომელიც ქართველებისათვის საუკუნეთა მანძილზე ეროვნულ სიწმინდედ რჩება, პოემაში მოქმედება ზღაპრულად წარმოსახულ აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარეობსო. მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ დეეტერსი აშუქებს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგ-ეპილოგის საკითხს, აანალიზებს მიჯნურობისა და შაირობის თეორიებს. თუმცა პროლოგის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამია, თითქო პოეტს ხელთ ჰქონია „სპარსული ამბავი", ახალ სპარსულ მწერლობაში არაფერი ამისი მსგავსი რამ არ მოიპოვებაო. პროლოგ-ეპილოგი „ვეფხისტყაოსნის" ავტორად რუსთაველს აღიარებს, პოეტის სახელი შოთა მე-17 საუკუნიდან მომდინარეობს, პოეტის ნამდვილი ბიოგრაფია უცნობიაო. ქართველ მკვლევართა ცდას, რუსთაველის სახელი დაუკავშირონ თამარის დროის საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს, აკლია დამაჯერებლობის ძალა, სარწმუნო მხოლოდ ის არისო, რომ „ვეფხისტყაოსანი" 1200 წლის ახლოს უნდა იყოს შეთხზული, დღემდის არ მოიპოვება პოემის კრიტიკული გამოცემაო. შემდეგ მკვლევარი მსჯელობს შაირის მეტრის რაობაზე და რუსთაველის პოეტურ ენაზე: „ვეფხისტყაოსანი" აიდეალებს თავგამწირველ მეგობრულ ერთგულებას და უფრო მეტად ძლიერ სიყვარულსო („ამაღლებულ სიყვარულს"). პოემის მთავარი გმირია ტარიელი, პერსონაჟები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ავტორი ქრისტიანიაო. რუსთაველის სამყაროს შემოქმედია, მზე ღვთის ხატია, პოემაში საგრძნობია ნეოპლატონური იდეები.

როგორც საერთოდ დეეტერსის მთელ ნაშრომში, ისე განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის" ნაკვეთს ახლავს საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია. ოღონდ ეტყობა, ყველა წყაროს მკვლევარი უშუალოდ არ გაცნობია. მაგალითად, იგი ასახელებს ა. სლოვინსკის ნარკვევს, რომელიც ვითომც თბილისში დაიბეჭდა 1944 წელს. ნამდვილად კი ეს ნაშრომი მხოლოდ ხელნაწერის სახით მოიპოვება. დეეტერსისათვის უცნობი დარჩენილა ქართველ მეცნიერთა მიერ 1960 წელს იერუსალიმში მოპოვებული მასალები.

ე. წ. აღორძინების პერიოდიდან დეეტერსი ეხება თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგსა და მის შვილებს (ვახუშტის და ბაქარს), სულხან-საბა ორბელიანს, ანტონ კათალიკოსს, დავით გურამიშვილს, ბესიკს და საიათნოვას, იძლევა თითოეულის მოღვაწეობისა და შემოქმედების დამახასიათებელ შტრიხს. იოანე ბატონიშვილს (შეცდომით მას ერეკლეს ძედ) უწოდებს განმანათლებლობის ორიგინალურ წარმომადგენელს. მისი „კალმასობა" თავისი დროის ცოდნის ენციკლოპედიაა, რომელიც შიგა და შიგ ქვეყნის სოციალური და კულტურული ცხოვრების ცოცხალ კრიტიკულ სურათს ხატავსო.

მესამე კარის უკანასკნელი თავია „რომანტიზმი და რეალიზმის დასაწყისი". რომანტიზმის წარმომადგენლებად მიჩნეული არიან ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ყველაზე ორიგინალური ტალანტი და ნამდვილი რომანტიკოსია ნიკოლოზ ბარათაშვილიო, ბაირონისა და ლერმონტოვისაგან დავალებული მისი ლირიკული პოეზია უფრო პირქუშია და პესიმისტური, პოემას „ბედი ქართლისას" რომანტიკული განწყობილება არ ახლავსო. საინტერესოდ არის გაანალიზებული „მერანი". შემდეგ განხილულია „ქართული კომედიის შემქმნელის" გიორგი ერისთავის, აგრეთვე ლავრენტი არდაზიანისა და დანიელ ჭონქაძის ცხოვრება და შემოქმედება. ეს უკანასკნელი „რომანტიკული გაზვიადებით" მოგვითხრობს მებატონეების საშინელი ძალმომრეობის ამბავს.

მეოთხე კარი ეძღვნება ახალ ქართულ ლიტერატურას. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ, იგი ძლიერ ახლოს არის ცოცხალ სახალხო ენასთანო, ამბობს მკვლევარი. თავში — „მესამოცე წლების კლასიკოსები და მათი მიმდევრები" — განმარტებულია თერგდალეულობის რაობა და განხილულია თერგდალეულთა თაობის დიდი წარმომადგენლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება. დეეტერსი ილიას უწოდებს საქართველოს მთელი კულტურული ცხოვრების გამძღოლს, რომელიც ყაჩაღებმა მოკლეს ცარიზმის საიდუმლო პოლიციის პირდაპირი დავალებით. მისი დაკრძალვა გადაიქცა ქართველთა ეროვნულ დემონსტრაციად. დეეტერსს ცალკე აქვს გამოყოფილი ილიას „ღრმა აზრიანი" პოემა „განდეგილი". ბევრი ადრინდელი ნაწარმოებით ილიამ ომი გამოუცხადა ბატონყმობას, „კაცია ადამიანით" პირუტყვად ქცეული მებატონე დაგვიხატა. გვიანდელი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი" ასახავს გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რჩება ნაპრალი, რომელზედაც ხიდის გადება არ ხერხდებაო. აკაკი წერეთელი შიშველი ტენდენციის პოეზიას უარყოფდა, მისი ლექსები უაღრესად მუსიკალურია, თავისი პოემებით (აგრეთვე პროზაული „ბაში-აჩუკით") წარსულის მაგალითზე იგი თანამედროვეობას ერთიანობისა და თავდადებისათვის ერის საკეთილდღეოდ მოუწოდებდაო. დიდად არის შეფასებული აკაკის „ჩემი თავგადასავალი". ილიას და აკაკის გვერდით არის გარჩეული გიორგი წერეთლის შემოქმედება. მან თანამედროვეთა ტიპობრივი რეალისტური სახეები შექმნაო.

დეეტერსი „ახალი რომანტიზმის" წარმომადგენლებად აღიარებს ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას, რომელთა შემოქმედებითი თემატიკა ახალი, ცივილიზაციით ხელუხლებელი საქართველოს მთიანეთის ცხოვრებას უკავშირდებაო, ორივე მწერალი სიმპათიით იყო განწყობილი პატრიარქალური წარსულისადმი.

საგანგებო თავად არის გამოყოფილი „რეალიზმი 1900 წლის წინ და შემდეგ". ამ თავის შესავალ ნაწილში დეეტერსი ამბობს, რომ მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს სხვა კუთხიდან და სხვა საზოგადოებრივი წრიდან გამოსულმა თაობამ „სოციალური კითხვის რადიკალური ლოზუნგები წამოაყენა". 1893 წელს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა პუბლიცისტებისა და მწერლების ერთი ჯგუფი მარქსისტული ლოზუნგებით. ეს ჯგუფი ცნობილია მესამე დასის სახელწოდებით, მისი დამაარსებელი იყო ეგნატე ნინოშვილი. ნინოშვილმა დრამატიზებული სიმახვილით დაგვიხატა სოფლის სიღარიბით სავსე ცხოვრება. დავით კლდიაშვილი მეიუმორისტულად აღწერს სოფლის გაღარიბებული აზნაურობის გარემოს. იგი ავტორია პოპულარული კომედიისა. ვასილ ბარნოვი წერს მოთხრობებს თანამედროვე თემებზე და ძველ თბილისზე. მნიშვნელოვანია მისი მრავალრიცხოვანი ისტორიული რომანები, რომლებიც საქართველოს წარსულს ასახავს. ბარნოვის ენა „მდიდარია და მრავალფეროვანი". აქვს არქაიზმები. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია თხზავს მოთხრობებსა და რომანებს „თანამედროვეობის სოციალური ცხოვრებიდან". აქვეა გარჩეული ლეო ქიაჩელის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და შალვა დადიანის შემოქმედება. დიდ მოთხრობაში („ტარიელ გოლუა") ლეო ქიაჩელმა ასახა 1905 წლის რევოლუცია. მოწონება დაიმსახურა მისმა საკოლმეურნეო რომანმა „გვადი ბიგვა". „მთის კაცში" მოთხრობილია ერთი აფხაზური სოფლის თავდაცვა მეორე მსოფლიო ომის დროს. ნიკო ლორთქიფანიძე წერდა გლეხთა და კეთილშობილთა ცხოვრების ამსახველ მოთხრობებს „დანგრეული ბუდეები", „ბილიკებიდან ლიანდაგებზე", აგვისახავს ახალი დროის შეჭრას სამეურნეო სფეროში. ნ. ლორთქიფანიძე ავტორია ბევრი ისტორიული მოთხრობისა. ოციან წლებში ძლიერ საყვარელ მწერლად იყო მიჩნეული მიხეილ ჯავახიშვილი. მისი მოთხრობები და რომანები გვიხატავს უპირატესად მოვლენების ნეგატიურ მხარეებს. შალვა დადიანი ცნობილია როგორც დრამატურგი. წერდა დრამებსა და კომედიებს სოციალურ და ისტორიულ თემებზე. უწერია რომანებიც („ურდუმი", „გიორგი რუსი").

მეოთხე კარის მეოთხე თავად მოდის „ესთეტიზმი და სიმბოლიზმი". მკვლევარი მოკლედ ეხება საქართველოში სიმბოლიზმის აღმოცენების ისტორიას, ახასიათებს ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას, სიმბოლიზმის მოთავეებად ხედავს ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს, მათს პირველ ორგანოს, ისე როგორც მთელ ლიტერატურულ გაერთიანებას, ეწოდებოდათ „ცისფერი ყანწები".

სიმბოლისტთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი, თუმცა მას ბევრი ახალგაზრდა თავის ოსტატ მასწავლებლად აღიარებდათ. გრიშაშვილმა წერა დაიწყო სატრფიალო ლექსებით (მე-18 საუკუნის ყაიდაზე), „მის ლექსებს იშვიათი მუსიკალობა და გამომსახველობითი ძალა" ახასიათებსო; გრიშაშვილი ადიდებდა ძველ პატრიარქალურ თბილისს, რომლის ლიტერატურულ ბოჰემას ისტორიულ-ლიტერატურული შრომაც მიუძღვნა.

შემდეგ დეეტერსი აღნიშნავს: გალაკტიონ ტაბიძემ პირველი პოეტური კრებული 1914 წელს გამოსცა. მალე იგი პერსონალურად დაუკავშირდა სიმბოლისტებს, რომელთა ზეგავლენაც განიცადა. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ გალაკტიონი დადგა მის მხარეზე. გალაკტიონ ტაბიძეს მინიჭებული აქვს სახალხო პოეტის წოდება.

„ცისფერი ყანწების" ჯგუფს ეკუთვნოდა გიორგი ლეონიძე. იგი ბეჭდავდა გაზეთებს („საფიროსს" 1914 წ., „ბახტრიონს" 1923 წ.). მოღვაწეობდა როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი თბილისის უნივერსიტეტში, მოაწყო ლიტერატურული მუზეუმი. ავტორია პოეტური ციკლისა — „ქართლის ცხოვრება" (1926-1949). „ბრწყინვალე ლექსებით უმღერის თავის სამშობლოს მრავალფეროვან ბუნებას და გმირულ წარსულს".

კონსტანტინე გამსახურდია 1912 წლიდან გერმანიაში სწავლობდა ფილოსოფიას. მისი მოსაზრებით, ხელოვნება პოლიტიკის გარეთ უნდა დარჩეს. ყურადღების ღირსია კ. გამსახურდიას ისტორიული რომანები გიორგი მე-III (!) დროზე და დავით აღმაშენებელზე. ისინი გვაძლევს ფართო მასშტაბის მხატვრულ სურათებს.

მეოთხე კარის უკანასკნელი თავია „საბჭოთა ლიტერატურა".

დეეტერსი აღნიშნავს, რომ ლიტერატურული ცხოვრება საბჭოთა საქართველოში ძალიან ცოცხლად მიმდინარეობს. მწერალთა კავშირი 250 წევრს აერთიანებსო. არ გავა წელიწადი, რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის ლირიკული კრებული რომ არ გამოქვეყნდესო. მკვლევარი შენიშნავს, რომ იგი დაასახელებს მხოლოდ ზოგიერთ მწერალს, რომლებმაც ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეს საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან.

დემნა შენგელაიამ შეთხზა „გლეხური საოჯახო რომანი „ბათო ქექია", აგრეთვე „წითელი ყაყაჩო" (მეორე მსოფლიო ომის თემაზე). ერთი საუკეთესო ლირიკოსია სიმონ ჩიქოვანი, მან გადათარგმნა ძველ-რუსული „იგორის ლაშქრობა". უმღერა საბჭოთა ხალხების ძმურ თანამეგობრობას („კავკასიიდან ტაგანროგამდე"). შექმნა ლირიკული ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე". უმთავრესად პოლიტიკური ლირიკოსია ალიო მირცხულავა (მაშაშვილი). აკაკი ბელიაშვილმა გამოაქვეყნა პატარ-პატარა ჰუმორისტული მოთხრობები და პოეტ ბესარიონ გაბაშვილისადმი მიძღვნილი რომანი (სამ ტომად), საკოლმეურნეო ცხოვრებას გვისურათებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი", მან მწერლობა დაიწყო როგორც ლირიკოსმა პოეტმა. ელიზბარ პოლუმორდვინოვი (ზედგინიძე) რომანით „იღვიძებენ მთები" აგვიწერს ჩამორჩენილი კუთხეების მშენებლობას, მან დაწერა მოთხრობები აგრეთვე ძველი თბილისის ცხოვრების თემაზე. გრიგოლ აბაშიძემ გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების კრებულები და პოემები. მისი „გიორგი მე-VI" ასახავს ქართველი ხალხის ბრძოლას თემურის წინააღმდეგ. „ძლევის ქედი" — კავკასიის ფრონტის თავდაცვას მეორე მსოფლიო ომის დროს. ალ. აბაშელთან ერთად გ. აბაშიძემ შეთხზა საბჭოთა საქართველოს ჰიმნი.

ასეთია არსებითად გ. დეეტერსის „ქართული ლიტერატურის" შინაარსი.

შენ ფეხს დაადგამ მალე მთვარეზე

ფაგუ მეზურიშვილი

[illegible]
[illegible]
და ყოვლისშემძლე [illegible] ღმერთი.
მე განვაგებდი ზესკნელს და ქვესკნელს,
შენით და შენთვის ვცოცხლობდი დღემდი.
უსახო იყავ და მოგეც სახე
და სინათლისკენ გასწავლე ლტოლვა...
ადამ, მე შენი ბავშვობა მახსოვს,
მე მახსოვს შენი პირველი ტრფობა.
სულში სიმღერის იგრძენი რხევა —
ეს სიყვარულმა აგიდგა ენა...
ქვებზე, ხეებზე ხატავდი ვეფხს
ღიმილით, ძრწოლვით, მოწყენით, ლხენით,
მშვიდი ცხოვრება არ გქონდა წუთით
და სტიქიასთან სწავლობდი შებმას...
შენ მაშინ იყავ ძალიან სუსტი
და წარამარა ითხოვდი შველას.
მერე მომრავლდი სწრაფად და ყველგან,
გული აგვსით სამოყვროდ, სამტროდ...
და ზამთრის ცივი ქარების ყეფა
არ გაშინებდა სამყაროს პატრონს.
ლეწავდი კაცის ცელებს, წერაქვებს,
არ გაკლდა სარჩო მეხრის, მებადურის...
და ჩემს წყალობად სძლევდი ყველაფერს.
თუ რამ გაგაჩნდა, თუ რამ გებადა.
გულში არ გედო ბოროტი ზრახვა,
რადგან გეყვარდა ციდან ვიმზერდი...
და მე მიყვარდი მართალი სახით,
სალი აზრებით, სალი მიზნებით.
შენ იწრთობოდი დროთა სრბოლაში
და პატივს სცემდი ძმობას და დობას,
შენ იმარჯვებდი ჩემთან ბრძოლაში
და მე შენს თვალში ვკარგავდი ნდობას.
გრძნობდი, ლამაზი სიზმრის ახდომას
არ სჭირდებოდა ჩემი თანხმობა.
მე ვერ ვბედავდი შენს წინ აღდგომას,
რადგან შეგეძლო ჩემი დამხობა.
და საკუთარი ძალღონის რწმენით
აიჭრა შენი ოცნება, ფიქრი,
ცეცხლს გიმალავდი მრავალი წელი,
დაბოლოს მაინც მომტაცე იგი.
ეს იყო ადრე, დიდი ხნის წინათ;
(მას აქეთ ფერი ბევრჯერ გაცვალა...)
მე გიმალავდი ფოლადს და რკინას,
აბჯრის კვეთება რომ არ გეწვალა.
შენ მაინც შეძელ,
შენ მაინც მიწვდი
და გამოჭედე ხმლები, ხუნდები...
მიწას შეასხა წითელი სისხლი
და ყვავილები აღარ ხუნდება.
ილეწებოდნენ შუბები შუბს
და ბარდებოდნენ წარსულს დუმილად...
შენ მოსვენება წაგართვა შურმა
და უკმარობის მძაფრმა სურვილმა.
მოსრე მრავალი დაბა, ქალაქი,
ცეცხლით შემოსე მთები სრულიად...
მეფედ გაკურთხე მიწა [illegible]
მჭამდა, მიწაშიც მეფის სულია...
შენ ისწრაფოდი, წინ ისწრაფოდი,
ჩემი ქებით და ჩემი გინებით...
ვერ გაშინებდა თვით ეშაფოტიც
და აისრულე, რაიც ინებე.
ბრწყინავდა შენი ლხინი, ქეიფი,
სუფრა განთქმული ზღაპრულ მშვენებით
და შენთან ერთად მაღალ ეიფელს,
ასე მეგონა, მეც ვამშენებდი.
ჩემს ბრძანებაზე გრგვინავდა მეხი
და ვერ დამწამებ უილაჯობას...
მიწაზე გედგა ორივე ფეხი
და ცხოვრებაში მიტომ მაჯობე
ვერ მოვიხმარე ჩემი წიაღი,
(ჩემს უკანასკნელ სიტყვებს ენდობი...)
მე დავიტანჯე ჩემი სიმაღლით,
მე დავიტანჯე ჩემი ღმერთობით.
გზას გილოცავდი ომში მიმავალს,
შეგინდე, როცა მთხოვე შენდობა.
მე მიხაროდა შენი სიმრავლე
და მძულდა ჩემი ერთადერთობა.
ვცოცხლობდი მზით და ხვალის იმედით
და უკვდავთათვის ვწნავდი გვირგვინებს...
მენატრებოდა მიწის [illegible],
მენატრებოდა მიწის სიგრილე.
ბედნიერების არ მთვლიდა ღირსად
ბედი მეხთალი, ბედი ცბიერი...
წუთისოფლიდან მივდივარ ისე,
ქვეყნად არ მრჩება ძე-ხორციელი.
ბებერი სული კბილით მიჭირავს
ვწუხვარ, სიტყვები მიწყდება ხშირად...
ღმერთად გაჩენას,
ღმერთად გაჩენას,
მე მირჩევნოდა [illegible] შვილად.
მაგრამ მემკვიდრედ არ გდომებივარ,
რატომ და რისთვის, აღარ ღირს კითხვა..
მე შენი მაინც მადლობელი ვარ,
რადგან ამ ქვეყნად მაცოცხლე დიდხანს.
კვლავ არაოდეს აღმადგენ მკვდრეთით,
(ამ სიცხადეში კარგად ვერკვევი...)
მხოლოდ მონასტრის თაღოვან კედლებს
შერჩება ჩემი მკუდრო ფრესკები.
განაგებ ქვესკნელს,
განაგებ ზესკნელს,
აანთე ცოდნის ყველა ლამპარი.
შენ კოსმოსური რაკეტა შექმენ
და მე წამართვი თავშესაფარი.
უნდა დასძლიო ომის ცდუნება,
რომ არ აქციო პლანეტა დარიდად.
დღეს ატომური საუკუნეა,
მიწის სიცოცხლეს უფრთხილდი ადამ.
იცი და გესმის გაფრენის ფასი
და ფეხს დაადგამ მარსზე, მთვარეზე...
შენ ჩემი ტახტი მიგელის ცაში,
შენია ჩემი საასპარეზო...

გაუფრთხილდით ხალხის საუნჯეს

ქართველი ხალხი მხატვრულ თვითშემოქმედებას ასეული წლების მანძილზე ქმნიდა, ავითარებდა და ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით გარდაქმნიდა. ეს განძი ადამიანთა კოლექტიურმა ხელმა დღემდე მოგვიტანა, როგორც თავისი სიცოცხლის უხილავი საზრდო. დღეს საჭიროა ჩვენი ხალხის ეს მრავალფეროვანი საგუნდო-სასიმღერო შემოქმედება დავიცვათ და გავამდიდროთ. მაგრამ ათეული წლების მანძილზე შეკრებილი და ნოტებზე გადატანილი ეს ხალხური სიმღერები იშვიათად შედის თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში. სამაგიეროდ მომრავლდნენ ყოვლად უგემოვნო, დაბალი მხატვრული დონის „მოესტრადო" შემსრულებლები, მათ რეპერტუარშიც დამკვიდრდა უცხოურის წაბაძვით შექმნილი (ვითომ ქართული) სიმღერები, რომელთა მოსმენა უკვე აუტანელი ხდება.

საშემსრულებლო პრაქტიკაში დამკვიდრდა ყალბი ხმა (ვითომდა მეტისმეტი მგრძნობელობის გამო) ე. წ. [illegible] ზმუილი. ამას ზედ ერთვის, შემსრულებლის მიერ თვითმიზნური ტანის რხევა, რაც ნაწარმოების შინაარსიდან არ არის გამომდინარე. სამწუხაროა, რომ ამ ყალბსა და არაესთეტიკურ ხერხს ხშირად ესტრადის ავტორიტეტული შემსრულებლებიც მიმართავენ. ტანის ასეთი მოძრაობა სიმღერაში მექანიკურად შეიტანეს უცხოური ცეკვებიდან, რაც იქ გავრცელებულია ბარებსა და კაფე-შანტანებში.

ჩვენ ყოველგვარი უცხოური ესტრადის წინააღმდეგი როდი ვართ. პირიქით, არაერთხელ დავმტკბარვართ ლამაზი მელოდიების მგრძნობიარე შემსრულებლებით, მაგრამ ყოველგვარი „შაბლონის" ბრმად გადმოტანა დიდ ზიანს გვაყენებს. განსაკუთრებით საზიანოა ის თვითმოქმედი კოლექტივებისათვის, მთავარი ის არის, რომ ამ კოლექტივების რეპერტუარი ზოგჯერ მეტისმეტად უსახოა და უგემოვნოდ არის შედგენილი. მის ხარისხზე ნაკლებად ზრუნავენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. საგუნდო კოლექტივები დაშლილია მთელი რიგი რაიონების კულტურის სახლებში, ფაბრიკა-ქარხნებში. და მხოლოდ ახლა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ უნდა გაიმართოს სიმღერისა და ყვავილების დიდი სახალხო დღესასწაული, ნაჩქარევად დაიწყო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების შექმნა. კამპანიურობა თვითმოქმედების ყველაზე დიდი მტერია. მხატვრულ თვითმოქმედებას დიდი მზრუნველობა სჭირდება. მასში უნდა მივიზიდოთ და ჩავაბათ მშრომელთა მასები. ფაქტობრივად უნდა შევარჩიოთ გუნდისა და ცეკვის წრეების ხელმძღვანელები, რომელთა უნარზე, შემოქმედებით ფანტაზიასა და კულტურაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ცნობილ ლოტბარებთან, ქორეოგრაფებთან ერთად საჭიროა ხელმძღვანელებად მივიწვიოთ გამოჩენილი კომპოზიტორები, ბალეტმეისტერები. მათი ავტორიტეტი, ცოდნა, დიდი გემოვნება მნიშვნელოვანწილად გაზრდის თვითმოქმედი წრეების ავტორიტეტს. ხალხის სიყვარულს ხალხთან სიახლოვე ქმნის. ხალხური ენით დაწერილი პროფესიული ნაწარმოებიც (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ხალხის კუთვნილება ხდება. მსოფლიო მუსიკის ისტორიას რომ თავი გავანებოთ, ამის მაგალითად ზაქარია ფალიაშვილიც კმარა. ჩვენ ვფიქრობთ, გიმნაზიაში მის, როგორც გალობის მასწავლებლის მოღვაწეობას ზ. ფალიაშვილისათვის სახელი და დიდება არ შეულახავს. გადავხედოთ ჩვენი მუსიკალური კულტურის საამაყო ადამიანების ვ. სარაჯიშვილის, ფალიაშვილების ოჯახის, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ნ. სულხანიშვილის, ია კარგარეთელის, შ. მშველიძის, ალ. მაჭავარიანის, დ. თორაძის, ო. თაქთაქიშვილის, დ. ანდღულაძის, დ. გამრეკელის და მრავალ სხვათა ცხოვრებას (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), ყველა ისინი მომღერალთა გუნდებიდან მოვიდნენ. მათ მუსიკისადმი სიყვარული გაუღვივეს პროფესიონალმა მუსიკოსებმა, სიმღერა-გალობის საუკეთესო მცოდნეებმა.

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგუნდო ხელოვნებას, რომელსაც თანამედროვე ეპოქის შესატყვისი, ახალი, გრანდიოზული და სანახაობითი ფორმები ესაჭიროება. ახალი საშემსრულებლო ფორმების ძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასობრივი საგუნდო შემოქმედებისათვის, რომელიც, გარდა მუსიკალური გემოვნებისა, ადამიანს უვითარებს კოლექტიური ურთიერთობის, ხასიათის ჰარმონიულობის გრძნობებს.

საქართველო სიმღერის ქვეყანაა — ეს სიტყვები არაერთხელ წაგვიკითხავს და გვსმენია. ყველას გვახარებს ჩვენი ეროვნული სიმღერის ასეთი დიდი შეფასება. ამ შეფასებას საქმით უნდა ვუპასუხოთ.

სოლომონ ლაფაური



სურათებზე: ზემოთ — რომი, ქვემოთ — ვენეცია. ნახატები ტ. ჭოფარიძისა.

დრამატურგი, იუმორისტი

მწერალ ვასო პატარაიას დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მწერალს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი წერილი:

ძვირფასო მეგობარო ვასო!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი მწერლები გულითადად გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენ, როგორც სატირულ-იუმორისტული ლექსების ავტორი, ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში შეუდექით ლიტერატურულ მოღვაწეობას. იმავე წლებშივე თქვენი ცხოვრება დაუკავშირეთ სასცენო ხელოვნებას.

ოცი წელია, რაც თქვენი პიესები იდგმება საქართველოს თეატრების სცენებზე.

თქვენ თვალსაჩინო წვლილი გაქვთ შეტანილი ქართული ესტრადის განვითარების საქმეში.

დღეს, თქვენი დაბადების 70 წლისთავზე, გულწრფელად გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

* * *

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია უერთდება ამ მისალმებას და ვ. პატარაიას უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს.

ყრმა მეფის მოგონებები

ჰაინრიჰ ბიოლი

ცამეტი წლისა ვიყავი, კაპოტის მეფედ რომ მაკურთხეს. მე სწორედ ჩემს ოთახში ვიჯექი და საქმეში ვიყავი გართული, მინდოდა ჩემი საშინაო დავალების ქვეშ მიწერილი „არადამაკმაყოფილებელი"-დან ნაწილაკი „არა" როგორმე წამეშალა. მამაჩემი, პიუ გი I, მეფე კაპოტასა, ოთხი კვირით მთებში იყო სანადიროდ წასული და ჩემი თხზულება მალემსრბოლის ხელით უნდა გამეგზავნა მისთვის. სრული იმედი მქონდა, სანადირო კარავი ცუდად იქნებოდა განათებული, და ამიტომაც მონდომებულად ვშლიდი, რომ უცებ სასახლის წინ ძლიერი ყვირილი გავიგონე: „გაუმარჯოს პიუ გი მეორეს!"

ამის შემდეგ წუთიც არ გასულა, რომ ოთახში ჩემი კამერდინერი შემოიჭრა, კარის ზღურბლზე მოკვეთილივით დაეცა და თავდადებული ერთგულებით წაიჩურჩულა: „თქვენო უდიდებულესობავ, შემიწყალეთ, ნუ იქნებით გულღვარძლიანი, იმის გამო, რომ თქვენი უდიდებულესობა პაპიროსის მოწევისათვის პრემიერ-მინისტრთან დავაბარე".

კამერდინერის მონამორჩილურმა საქციელმა ზიზღი მომგვარა, გარეთ გავაბრძანე და შლა განვაგრძე. ჩემს სახლის მასწავლებელს ჩვეულებად ჰქონდა: დავალებებს წითელი ფანქრით ასწორებდა. ის იყო რვეული მელნისაგან [illegible], რომ მე კვლავ შემაწყვეტინეს: პრემიერ-მინისტრი შემოვიდა, კარებთან დაიჩოქა და დაიყვირა: „დღეგრძელობა პიუ გი მეორეს, სამეფოს დღეგრძელობა!" და იქვე დაუმატა: „თქვენო უდიდებულესობავ, ხალხს სურს თქვენი ნახვა".

ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა; საშლელი გვერდზე გადავდე, ხელები გავიწმინდე და ვკითხე: „რატომ სურს ხალხს ჩემი ნახვა?"

„რადგან თქვენ უკვე მეფე ბრძანდებით".

„როდიდან?"

„ნახევარი საათია. თქვენი ყოვლად მოწყალე მამა ნადირობისას ერთმა რახაკმა მოკლა". (რახაკი შემოკლებულად ნიშნავს: „კაპოტელი მძვინვარე სადისტები").

„ოჰ, ეს რახაკი!" დაიღრიალე მე. შემდეგ პრემიერ-მინისტრს გავყევი და აივნიდან ხალხს ვეჩვენე. ვიღიმებოდი, ხალხს ხელს ვუქნევდი და ძლიერ გაოცებული ვიყავი.

ეს სტიქიური დემონსტრაცია ორ საათს გაგრძელდა. მხოლოდ საღამოთი დაიშალა ხალხი, როცა უკვე დაბნელდა; რამდენიმე საათის შემდეგ ხალხმა მაშხალებით ჩაუარა სასახლეს.

მე ჩემს ოთახში დავბრუნდი, დავალებების რვეული ნაკუწებად ვაქციე და სასახლის ეზოში გადავყარე. ნაკუწები — როგორც შემდეგ შევიტყვე — კოლექციის მოყვარულებს აკრიფავთ და უცხო ქვეყნებში გაუყიდიათ, სადაც დღესაც ორთოგრაფიაში ჩემი სისუსტის დამამტკიცებელი საბუთი შუშის ქვეშ ინახება.

დაძაბული თვეები დადგა. კაპოტის მძვინვარე სადისტებმა ბუჩკის მოწყობა სცადეს, მაგრამ კაპოტელი ერთგული სადისტებისა და ჯარის შემწეობით აჯანყება ჩაახშეს. მამაჩემი დაასაფლავეს, ხოლო მე კაპოტის კათედრალურ ტაძარში სამეფო გვირგვინი დამადგეს თავზე. მართალია, მე პარლამენტის სხდომებში უნდა მიმეღო მონაწილეობა და კანონებზე ხელი უნდა მომეწერა, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, მეფობა მომწონდა, რადგან შემეძლო ჩემი მასწავლებლის მიმართ სხვა ზომები მეხმარა.

თუ მასწავლებელი ზეპირ დავალებას შემეკითხებოდა: „თქვენო უდიდებულესობავ, იქნებ ინებოთ და მითხრათ, [illegible] მოქმედების საერთოდ რა წესი იყო?" მაშინ მე ვუპასუხებდი: „არა, არ ვინებებ" და მასწავლებელს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მასწავლებელი მეტყოდა: „თუკი მის უდიდებულესობას [illegible], იქნებ შემხედოს და დაახლოებით სამი ფურცლის ფარგლებში აღწეროს, რა მიზეზებით ხელმძღვანელობდა ტილი, როცა მან მაგდებურგი [illegible]?" მაშინ მე ვეტყოდი: „არა, მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია" — და თვითონვე მას მივთხოვდი მკვლელობის მოტივები ჩამოეთვალა!

ასე და ამგვარად, თითქმის უშრომლად მივიღე რაღაც გარკვეული განათლება, დავწვი ყველა სახელმძღვანელო და რვეული და ხელი მივყავი ნამდვილ გართობას; ვთამაშობდი ბურთს, ჩემს ჯიბის დანას კარის ლირის ვესროდი, ვკითხულობდი კრიმინალურ რომანებს და ხანგრძლივად ვსაუბრობდი სამეფო კარის კინოს ხელმძღვანელთან. განსაკუთრებით გავიგე, რომ ყველა ჩემი საყვარელი ფილმი შევიძინეთ, და, ამასთანავე პარლამენტში სკოლის რეფორმის წინადადებით გამოვედი;

ეს ბრწყინვალე დრო იყო, თუმცა პარლამენტის სხდომები მღლიდა. მე შევძელი გარკვეულად მელანქოლიურ ახალგაზრდა მეფედ მომეჩვენებინა თავი, და მთლიანად პრემიერ-მინისტრის პელცერის იმედითღა ვიყავი; პელცერი მამაჩემის მეგობარი და აწგანსვენებული დედაჩემის ბიძაშვილი იყო. მაგრამ ხუთი თვის შემდეგ პელცერმა მთხოვა, ცოლი შეირთეო. მან მითხრა: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ ხალხს მაგალითი უნდა მისცეთ". ცოლის შერთვის შიში სრულებით არ მქონდა, მაგრამ ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ პელცერმა თავისი ქალიშვილი იადვიგა შემომთავაზა; იადვიგა თხელი, პატარა გოგონა იყო და ხშირად ვხედავდი სასახლის ეზოში ბურთს რომ თამაშობდა. იადვიგას სულელი გოგოს სახე ჰქონდა, უკვე მეორედ იჯდა მეხუთე კლასში, ფერმკრთალი იყო და მზაკვრული გამოხედვა ჰქონდა. პელცერის ფიქრითაც დრო ვთხოვე ახლა კი ნამდვილად შემომაწვა სევდა, საათობით ჩემი ოთახის ფანჯარაზე ვიწექი და იადვიგას ვუცქეროდი, რომელიც ხან ბურთს თამაშობდა და ხან კლასობანას. იგი სიმპათიურად იყო ჩაცმული, ხანდახან მე ამომხედავდა და იღიმებოდა. მაგრამ ღიმილი ხელოვნური მეჩვენებოდა.

როცა მოფიქრებისთვის მოცემული დრო გავიდა, სასახლის მოედანზე გამოწყობილი პელცერი გამოჩნდა. იგი ყვითელსახიანი, ძლიერი მამაკაცი იყო, მაგი წვერი და მოლურჯო თვალები ჰქონდა. „ხომ არ ინებებთ, მისო უდიდებულესობა, — თქვა მან — მაცნობის თავისი გადაწყვეტილება. მისმა უდიდებულესობამ ხომ არ გადახედა მოწყალე თვალით ჩემს ბავშვს?" როდესაც „არა" ვუთხარი, რაღაც საშინელება მოხდა: პელცერმა მხრებიდან ეპოლეტები, მკერდიდან სირმები მოიგლიჯა, პორტფელი მესროლა (პორტფელი ხელოვნური ტყავისა იყო), ყველაფერი ფეხებთან დამიყარა, თან წვერს იგლეჯდა და ყვიროდა: „მამასადამე, ეს არის კაპოტის მეფის მადლობა!"

უსიამოვნო სიტუაციაში აღმოვჩნდი. უპელცეროდ დავრჩებოდი, გადაწყვეტილება წუთში მივიღე: „მე გთხოვთ იადვიგას ხელს".

პელცერი ფეხებში ჩამივარდა, ფეხსაცმელის ცხვირებს მხურვალედ ჰკოცნიდა, ეპოლეტები, სირმები და ხელოვნური ტყავის პორტფელი კვლავ აიღო.

მე და იადვიგას [illegible] კათედრალურ ტაძარში დაგვწერეს ჯვარი. ხალხს ლუდი, ძეხვი და თითოეულს, — ოცი ცალი სიგარეტი დაურიგეს, და ამასთანავე, ჩემი პირადი ინიციატივით, ორ-ორი უფასო ბილეთი მისცეს კარუსელისათვის; ოცი დღე გაჩირაღდნებული იყო სასახლე და ყველგან ღრიანცელი ისმოდა.

ახლა მე იადვიგას დავალებების მოწერაში ვეხმარებოდი, ბურთს, კლასობანას ერთად ვთამაშობდით, ერთად დავაჭენებდით ცხენებს და, როცა კი მოგვბეზრდებოდა, სასახლის საკონდიტროში მარციპანს მივეცემოდით ხოლმე, ანდა სასახლის კინოში დავდიოდით. მეფობა სულ უფრო და უფრო მომწონდა — მაგრამ ერთმა მძიმე შემთხვევამ საბოლოოდ ბოლო მოუღო ჩემს კარიერას.

როცა თოთხმეტი წლისა შევსრულდი, პოლკოვნიკის ჩინი მიბოძეს და მე-8 ცხენოსანი პოლკის მეთაურად დამნიშნეს. იადვიგამ მაიორობა მიიღო. ჩვენ ზოგჯერ ჩამწკრივებული პოლკის წინ უნდა ჩაგვევლო, კაზინოს საღამოებში მონაწილეობა მიგვეღო და ყოველ დიდ დღესასწაულზე დამსახურებული ჯარისკაცებისთვის მკერდზე საკუთარი ხელით ორდენი ჩამოგვეკიდა. თვითონ მე ორდენების მთელი გროვა მქონდა. მაგრამ შემდეგ პოსკოპეკის ამბავი გადამხდა.

პოსკოპეკი ჩემი პოლკის მეთორმეტე ესკადრონის ჯარისკაცი იყო, რომელმაც ერთ კვირა საღამოს ცირკის ცხენოსან ქალთან ერთად გაქცევა გადაწყვიტა და საზღვარზე გადასვლა დააპირა. იგი შეიპყრეს, მცველები მიუჩინეს და სამხედრო საველე სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. მე როგორც პოლკის მეთაურს განაჩენზე ხელი უნდა მომეწერა, მაგრამ განაჩენს უბრალოდ წავაწერე: „შეიცვალოს თოთხმეტი დღის პატიმრობით, პიუ გი II".

ამ ცნობას საშინელი შედეგი მოჰყვა: ჩემი პოლკის ოფიცრებმა მხრებიდან ეპოლეტები, მკერდიდან სირმები და ორდენები მოიგლიჯეს და ერთ ახალგაზრდა ლეიტენანტს დაავალეს ჩემს ოთახში მოეტანა ისინი. კაპოტის არმიამ აჯანყებულებთან შეკრა კავშირი და იმავე საღამოს ჩემი ოთახი მთლიანად გაივსო ეპოლეტებით, სირმებითა და ორდენებით: ეს საშინელი სანახავი იყო.

მართალია, ხალხი მე მემხრობოდა, მაგრამ ღამით პელცერმა მომახსენა, რომ მთელი არმია კაპოტელი მძვინვარე სადისტების მხარეზე გადავიდა. ტყვიამფრქვევებისა და სროლის ხმა ისმოდა, ტყვიამფრქვევების ველური კაკანი არღვევდა სასახლეში გამეფებულ სიჩუმეს. მართალია კაპოტელმა უწყინარმა სადისტებმა მცველი გამოიყვანეს, მაგრამ ღამით პელცერი კაპოტელ მძვინვარე სადისტების მხარეზე გადავიდა, და მე იძულებული გავხდი იადვიგასთან ერთად გავქცეულიყავი. მე და იადვიგამ თავი მოვუყარეთ ტანსაცმელს, ფულს და ძვირფასეულობას. უწყინარებმა ტაქსის რეკვიზიცია მოახდინეს. ჩვენ დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ მეზობელი სახელმწიფოს სასაზღვრო სადგურამდე, არაქათგამოცლილები მეორე კლასის საძინებელ ვაგონში მოვკალათდით და დასავლეთის მიმართულებით გავემგზავრეთ.

ოთხი დღე ვიარეთ მატარებლით და ერთ ქალაქში ჩამოვედით. ქალაქს ვუკელკაიში ეწოდებოდა. ვუკელკაიში — გეოგრაფიის გაკვეთილების ბუნდოვანი წარმოდგენიდან ვიცოდი — მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო.

ამ ხნის განმავლობაში იადვიგა და მე გავეცანით საგნებს, რომელთა დაფასება დავიწყეთ: რკინიგზის სუნისა, სრულიად უცხო რკინიგზის სადგურებში მწარე და ცხარე ძეხვის გემოსი. მე შემეძლო, რამდენიც მსურდა, იმდენი მომეწია; იადვიგა თანდათან იფურჩქნებოდა, რადგან სკოლის დავალებების ტვირთისაგან თავისუფალი იყო.

ვუკელკაიში ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს ყველგან პლაკატები გააკრეს, რომლებმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო: „ბუნკეს ცირკი — სახელგანთქმული ცხენოსანი ქალი თავისი პარტნიორით იურგენ პოსკოპეკით". იადვიგას ძალიან გაუხარდა და მითხრა: „პიუ გი, იფიქრე ჩვენს არსებობაზე, იქნება პოსკოპეკი დაგვეხმაროს".

ჩვენს სასტუმროში ყოველ საათში მოდიოდა კაპოტიდან დეპეშები, რომლებიც უწყინარების გამარჯვებას, პელცერის დახვრეტასა და ჯარის რეორგანიზაციის ამბავს იტყობინებოდა. ახალმა პრემიერ-მინისტრმა — მისი გვარი იყო შმიდტი და უწყინარებს მეთაურობდა — მთხოვა უკან დავბრუნებულიყავი, რათა კაპოტის მეფეთა რკინის გვირგვინი ხალხის ხელით კვლავ ჩემთვის გადმოეცათ.

რამდენიმე დღე ყოყმანში გავატარე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში იადვიგას შიშმა გაიმარჯვა. მას შიში ჰქონდა სკოლაში დავალებების. მე ბუნკეს ცირკში წავედი, პოსკოპეკი ვიკითხე. პოსკოპეკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მე რომ დამინახა: „ჩემი სიცოცხლის გადამრჩენელი" — ყვიროდა იგი თავისი საცხოვრებელი ვაგონის კარებში ჩამდგარი — „რით შემიძლია გემსახუროთ?.." — „გვიშოვე რამე საარსებო წყარო" — ვუთხარი მორიდებულად.

პოსკოპეკს გული აუჩუყდა: მან ბატონ ბუნკესთან მიშუამდგომლა და ბუნკეს ცირკში მოვეწყე სამუშაოდ. თავდაპირველად ლიმონათებს ვყიდდი, შემდეგ სიგარეტებს, ბოლოს კი — გულაშს. მე საცხოვრებელი ვაგონი მივიღე და მოკლე დროში მოლარე გავხდი. გვარი გამოვიცვალე, ტიუპერი დავირქვი, და ამ დღიდან მოყოლებული კაპოტიდან მიღებულ დეპეშებს ხელსაც აღარ ვახლებდი.

მე ან მკვდრად მთვლიან ან უგზო-უკვალოდ დაკარგულად, მაშინ როდესაც იადვიგასთან ერთად, რომელიც სულ უფრო და უფრო იფურჩქნება, ბუნკეს ცირკის საცხოვრებელი ვაგონით მთელს დუნიაზე დავეხეტები. მე უცხო ქვეყნების ჰაერს ვყნოსავ, ვათვალიერებ უცხო მხარეებს და მიხარია, რომ ბატონი ბუნკე ჩემდამი დიდი ნდობით არის გამსჭვალული. პოსკოპეკი რომ არ მოდიოდეს ზოგჯერ ჩემთან სტუმრად და კაპოტის ამბავს არ მიყვებოდეს, მისი ცოლი — ქალი რომ არ იყოს, მშვენიერი ცხენოსანი, რომელიც ყოველთვის მარწმუნებს, რომ მის ქმარს მე შევუნარჩუნე სიცოცხლე, მაშინ, მე, ჩვეულებრივ, არც კი ვიფიქრებდი, რომ ერთდროს მეფე ვიყავი.

მაგრამ ახლახან კვლავ აღმოვაჩინე ჩემი წარსული მეფური ცხოვრების ნამდვილი საბუთი. მადრიდში ვიყავით გასტროლებზე, და ერთხელ დილით, მე და იადვიგა ქალაქში ვსეირნობდით, როცა ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა რუხმა შენობამ, რომელზედაც წარწერილი იყო: „ეროვნული მუზეუმი". „შევიდეთ აქ" — მითხრა იადვიგამ და ჩვენ მუზეუმში, ერთ დიდ მოქვაფენილ დარბაზში შევედით, რომლის თავზე ეკიდა ფირნიში: „ხელნაწერები". აქეთ სულ არ გვქონია, ისე ვათვალიერებდით სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებისა და მეფეების ხელნაწერებს, ვიდრე შუშის ყუთს არ დავადექით თავზე, რომელზეც თეთრი ქაღალდი იყო დაკრული: „კაპოტის სამეფო, უკვე ორი წელია რესპუბლიკად გამოცხადდა". შუშის ქვეშ დავინახე ჩემი ბაბუის XL ხელნაწერი, კაპოტის ცნობილი მანიფესტის ნაგლეჯი, რომელიც მან საკუთარი ხელით შეადგინა, ვიპოვნე აგრეთვე მამაჩემის შენიშვნების ფურცელი სამონადირო დღიურიდან, და ბოლოს ჩემი სასკოლო რვეულის ნაკუწი, მელნიანი ფურცლის ნაგლეჯი, რომელზედაც მე ამოვიკითხე: რახაკ [illegible], იმას [illegible]. შეშინებულმა იადვიგა მოვაბრუნე, მაგრამ მან ღიმილით მხოლოდ ეს მითხრა: „ყველაფერი უკან დარჩა სამუდამოდ".

ჩვენ საჩქაროდ გამოვედით მუზეუმიდან, რადგან უკვე პირველი საათი შესრულებულიყო, ხოლო სამზე უკვე წარმოდგენა იწყებოდა და მე ორი საათისათვის სალარო უნდა გამეღო.

გერმანულიდან თარგმნა
ნოდარ რუხაძემ

ფერსათში

ალექსანდრე ქუთათელი

ტოტებდაგრაგნილ ბუმბერაზ ძელქვას
მთიდან ჭალამდე გაუდგამს ფესვი,
ჩანს გადაურჩა ქარსა და წელკავს
და ვერც ქარბუქმა აუგო წესი.

დადგა შუადღე მყუდრო და მშვიდი,
აღარ ჩურჩულებს მთის ჩადუნელა,
არც შავთარა, დამზრალი შინდი
და მაინც შრომობს ჟამი — თბუნელა.

მაინც ლაპლაპებს, როგორც კანდელი
მზეზე თავცეცხლა, კნაპა, კუნელი,
ალმოდებული ტყის კურკანტელი
და ნეშომპალის მათრობს სურნელი.

მხიბლავს წარმტაცი მშობელი მხარე,
მთების კალთებზე მიმდგარი ზვარე,
გამდნარი თოვლით და წვიმით სველი
ორთქლმორეული რიონის ველი.

ხნულზე ციმციმებს ცისფერი ძაფი —
ობობას ქსელი მსგავსი ხირმისა,
ვით გაფანტული დორბლი და ქაფი
ბარში მარბენალ, დაღლილ ირმისა.

თითქო ჭექილი თვალმა დალანდა,
სარეველებმა გაწყდეს ჭილაგი!
მარად ჭაბუკი მოდის კალანდა,
მოაქვს ნაძვისხე და ჩიჩილაკი.

შემომიტია მაშვის ჭახჭახმა,
ვით მაჭახელა თოფის ჩახჩახმა
და შემოესმა მთაში „ხელხვავი" —
ძველი სიმღერა, ჟამის მხერხავი.

შემომეგება ხელში ხელადით
ულაჩხიანი მოხუცი ურჩი,
გლეხი სიკეთით სავსე ყელამდე,
სოფლის თავკაცი, ოჯახის ბურჯი.

თავს დასდგომოდა ფერსათის ძელქვა,
მთიდან ჭალამდე რომ ედგა ფესვი
და ახალი წლის სიცოცხლის ფეთქვა
პაპამ ბრძანა და ჯიხვის რქით შევსვა.

სოფელი ფერსათი
1965 წ.

„ცხოვრება წინ არი..."

სერგო კლდიაშვილი

ისტორიული რომანის თუ მოთხრობის მიზანი არ უნდა იქნეს წარსულით ტკბობა და მისი განუხრელი ხოტბა. გავიხსენოთ ჩვენი ხალხის სულიერი მამის ილიას სიტყვები, როცა ის ამგვარ გატაცებას „უმეცარ სიყვარულს" უწოდებს.

როცა ჩვენ, მკითხველები, ხელში ვიღებთ წარსულის ფონზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, ჯერ იმას მოვითხოვთ, რომ ვიგრძნოთ იქ იმ დროის სურნელება, ხრუშულო-ზური, პედანტური გადმოცემა იმ ამბებისა, რომელიც მაშინ მომხდარა, — ეს მეცნიერი ისტორიკოსის საპატიო ვალდებულებაა.

მაგრამ წარსულის „სურნელება" ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. ისტორიული რომანი და მოთხრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰპოვებს გამოძახილს და მხოლოდ მაშინ ეძენება მას სახიცოცხლო ძალა, როცა შემოქმედი ამ ფონზე და ამ ლიტერატურული ჟანრის საშუალებით გაგვიზიარებს თავის ფიქრებს.

გამოჩენილმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოკლე ხნის მანძილზე ორი ისტორიული რომანი და რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა. ისინი უეჭველად ამდიდრებს, ღირსებას ჰმატებს ჩვენს პროზას და საგულისხმოა, როგორც თემატიკურად, ისე ფორმის მხრივ. ამ შემთხვევაში ამ პატარა წერილის მიზანი კრიტიკული ანალიზი არ არის გრ. აბაშიძის რომანებისა და მოთხრობებისა. ამას სხვები, ალბათ, უკეთესად გააკეთებენ. როგორც კოლეგა, მინდა უბრალოდ გამოვეხმაურო მათს გამოჩენას.

„ლაშარელა" პირველ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, სადაც ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდი სახელმწიფო მოღვაწენი ფრესკული, ხატისებრი ფერწერის მანერით კი არ არიან წარმოდგენილნი, არამედ როგორც ცოცხალი არსებანი. მწერალი გვაცნობს მათს მოღვაწეობას და სულიერ სიფაქიზეს და, ამასთან ერთად, გვიხატავს როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებისთვის ადამიანური უცხო არაფერია. ამით ავტორი ერთი წუთითაც არ ამდაბლებს წარსულის გამოჩენილ პიროვნებებს, მათს დიდ ნიჭიერებას და როლს ისტორიაში. საეკლესიო შარავანდედით მოსილნი, აქამდე ისინი უხორცო წმინდანებად გვესახებოდნენ. ჩვენი დროის რომანისტმა კი ხორცი შეასხა მათ, გააადამიანურა და ამით ერთგვარად დაგვიახლოვა კიდევაც ისინი. ამ გარემოებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო იმასაც, რომ გმირის სახე მეტყველი და დამაჯერებელი გახდა.

პატრიოტი მწერალი თავის სამშობლოს და ხალხს გვირგვინოსან გმირებზე უფრო მაღლა აყენებს, გვირგვინოსნებს მხოლოდ ერის მსახურებად მიიჩნევს. ამის შემდეგ გასაგებია, თუ უფრო მკაცრ ეთიკურ მოთხოვნილებებს რატომ უყენებს მათ, ვიდრე რიგით ადამიანებს. ავტორი მკაცრია, მაგრამ სამართლიანია. ვინაიდან არსად არაფერს მიაწერს თავის გმირს ისეთს, რაც ისტორიულ დოკუმენტებს უარყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს.

უკვე ის ამბავი, რომ გრ. აბაშიძემ ტრადიციულ ფრესკას ცოცხალი ადამიანის ხორცი შეასხა, თითქმის დაკანონებული ტრადიციის გადალახვაა, სიახლის შეტანაა ჩვენი ისტორიული რომანის განვითარების საქმეში.

„ლაშარელა" დიდი ექსპრესიით არის დაწერილი. რომანის დასაწყისში მწერალი აღწევს იმას, რომ ძაბავს მკითხველის ყურადღებას. წარსული აქ თავიდანვე წარმოდგება ჩვენს წინაშე არა როგორც გარდასული დრო, არამედ როგორც ცოცხალი და დიდი ვნებების არენა.

რომანის ექსპოზიციაშივე იგრძნობა, რა ტრაგიკული ატმოსფეროა იმ გარემოში, სადაც სიუჟეტი უნდა განვითარდეს. ეპოქის ეს ტრაგიკული სული გასდევს მთელ ნაწარმოებს: ისტორიაში მკვეთრი შეტრიალება ხდება და თამარის მეფობის ბრწყინვალებისა და დიდების შემდეგ ქვეყანას განწირულების აჩრდილი დასტრიალებს. მიუხედავად იმისა, რომ ლაშა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ტალანტით არის დაჯილდოებული, მას აღარ შეუძლია, ეს უკვე მასზე აღარ არის დამოკიდებული, გავლენა მოახდინოს თავის ქვეყნის ბედზე. ლაშა უნდა შეეწიროს, სხვა გზა არ არის. უდიდეს ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც მონღოლთა ექსპანსიით იწყება, ეს დიდად ნიჭიერი და მომხიბლავი ჭაბუკი მეფე თავიდანვე ტრაგიკულ ფიგურად გვესახება. ზვარაკი, რომლითაც ახალგაზრდა გვირგვინოსანმა რომანის პირველ სტრიქონებში მსხვერპლის შეწირვის წესი შეასრულა, სიმბოლური მინიშნებაა თვით ლაშას ბედისა, — ასეთივე ზვარაკად იქცევა და შეეწირება ის თავისი დროის უბედობას, ისტორიის ქარტეხილებს.

მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებაზე ვლაპარაკობ, თუმცა ცდუნება მქონდა შევხებოდი რომანის ფორმის ყველა თავისებურებას, სიუჟეტის განვითარებას, სახეებსა და ხასიათებს. ამ მხრივ ნაწარმოები ძალიან საყურადღებოა. დასასრულ მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ „ლაშარელას" პირველ გამოცემაში იგრძნობოდა ერთგვარი ტკბობა ეროტიული თავგადასავლის აღწერაში, მეორე გამოცემაში ავტორს საგრძნობლად გადაუმუშავებია რომანი, რითაც ნაწარმოებმა დიდად მოიგო. ის უფრო მკვრივი გახდა, მეტი მხატვრული სიმართლე მიეცა და პირველ პლანზე წამოიწია ის მთავარი, რის თქმა და ჩვენება მწერალს მიზნად ჰქონდა.

„ლაშარელასთვის" დამახასიათებელ მაღალ მხატვრულ დონეზე დგას გრ. აბაშიძის მეორე რომანი „დიდი ღამე". შესაძლოა ეს უაღრესად პირადი შეხედულება იყოს, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ „დიდი ღამე" უფრო ფართო მასშტაბის ნაწარმოებია.

ქართველი ხალხის ისტორია არც „ლაშარელაშია" მოცემული გარესამყაროსგან მოწყვეტილად, მაგრამ „დიდ ღამეში" ჩვენი ქვეყანა სავსებით მოქცეულია გრანდიოზულ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენათა სფეროში. მეცამეტე საუკუნე საბედისწერო იყო არა მარტო ხვარაზმელებისა და ქართველებისთვის, მონღოლთა ურდოებმა დასავლეთ ევროპაშიც შეაღწიეს და ალბათ სრულიად შეიცვლებოდა კაცობრიობის განვითარების გზები, მათი ექსპანსია რომ გამარჯვებით დამთავრებულიყო.

საქართველომ ძალიან დიდი როლი შეასრულა ამ ექსპანსიის შენელებაში, მონღოლთა დაპყრობების საქმეში და დასავლეთ სამყაროს გადარჩენაში. ამრიგად, ჩვენმა ქვეყანამ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმე გააკეთა.

ადვილად წარმოსადგენია, როგორი ეროვნული ენერგიის დაძაბვას მოითხოვდა ჩვენი წინაპრებისგან ბრძოლა როგორც მონღოლების, ისე ხვარაზმის სულთანის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ძალების აღდგენისათვის მოქმედებდა. გვიხატავს რა ამას, მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ჩვენი ხალხის ნიჭიერებაზე და დიდსულოვნებაზე.

რომანის კითხვას რომ იწყებთ, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ავტორი გულგრილად იწყებს ამბავს. ექსპოზიციაში თხრობა მშვიდად მიმდინარეობს და ჯერ არ იქმნება განწყობილება, რომ მალე დიდი მოვლენების ორომტრიალში მოხვდები. მშვიდი, თავისუფალი სუნთქვით მიჰყვებით გემრიელი ქართულით დაწერილ სტრიქონებს, სიუჟეტის ბუნებრივი უშუალობით გაშლას, მაგრამ, აი, რაც სიღრმეში შედიხართ, გრძნობთ, რომ ქარიშხალი გიახლოვდებათ. ავტორი თითქოს გზოგავთ, თანდათან შეგიყვანთ და გაგიყვანთ იმ საშინელ გარემოს, რომელიც მოგელით. ამას მწერალი ძალიან კარგი მხატვრული ტაქტით აკეთებს.

ზემოთ მე გაკვრით ვახსენე გრ. აბაშიძის მწერლური ღირსება — „გემრიელი ქართული". ეს ღირსება, რა თქმა უნდა, თანამედროვე პროზაიკოსს გააჩნია. მაგრამ შევნიშნავ ხოლმე, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომელიც ისტორიული რომანის ჟანრში მოღვაწეობს, რატომღაც ჰკარგავს ბუნებრივად თქმის უნარს. მათი სტილი, რაღაც დაუწერელი კანონის ძალით, ღვარჭნილობის იერს ღებულობს. დაგრეხილი ფრაზა კი, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენში მხატვრულად თქმის ეტალონად მიიჩნევენ, ახნელებს აზრს და ბალასტით ტვირთავს სიუჟეტს. ისტორიებზე შემდგარი ფრაზა ყოველთვის ავადმყოფურად ნერვულია, უსაგნოდ დაძაბულია, ხოლო ეს დაძაბულობა დამწერის სულიერი მღელვარების მაჩვენებელი სულაც არ არის. და, რაც კიდევ აღსანიშნავია, ვითომდა სტილიზებული ფრაზა ძალიან აფერხებს ენის განვითარების საქმეს. ის ასრულებს ხელოვნური სუნთქვის ბალონის როლს, როცა ავადმყოფს ბუნებრივი სუნთქვის ძალა დაკარგული აქვს. ასეთი ფრაზა ხელოვნურია, უფრო სწორად, ხელოსნურია, თითქოს მხოლოდ საფარია, როგორმე დამალოს შინაგანი სიცარიელე და წარმოადგენს ამაო ცდას ბუტაფორია და ფიტული გაახალოს როგორც ცოცხალი რამ.

გრ. აბაშიძე სავსებით თანამედროვე ქართულით წერს თავის ისტორიულ რომანებს. აქა-იქ „ლაშარელაში" თუ გაურევს ხოლმე ძველ ქართულს, მაგრამ ამასაც ზომიერად და მხოლოდ კოლორიტის მიზნით. გრიგოლ აბაშიძე ამ მხრივ აგრძელებს იმ ბრწყინვალე გზას, რომელიც დიდმა აკაკიმ დაიწყო თავისი „ბაში-აჩუკით", ხოლო შემდეგ ჩვენმა შესანიშნავმა ბელეტრისტებმა ნიკო ლორთქიფანიძემ და მიხეილ ჯავახიშვილმა განავითარეს თავიანთ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში. აკაკისათვის ჩვეული ნათელი მხატვრული სისადავით გამოძერწილი ფრაზა ახასიათებს გრ. აბაშიძეს. მისი ქართული ლაღია და სადა.

თავისებური ხერხით იწყებს გრ. აბაშიძე „დიდ ღამეს". ექსპოზიციაში იგრძნობა ერთგვარი მიდრეკილება კინოსცენარისკენ. ამ ხერხს მწერალი, მართალია, ოსტატურად იყენებს, ამით თხრობის ეკონომიას ეწევა, ოღონდ მაინც ისე მეჩვენება, რომ ეს უფრო მეტს აძლევს მკითხველის თვალს და ნაკლებად იწვევს მასში ემოციებს. მაგრამ შემდეგში, როცა სიუჟეტი გაიშლება, კინოს ეს აჩრდილიც ქრება და აღარსად მეორდება. მე მაინც ისე მგონია, რომ კინოსცენარის ხერხი უცხოა მხატვრული პროზისთვის.

„დიდ ღამეში" პირველად აისახა ჩვენს ლიტერატურაში ძლიერი დრამატიზმით სავსე საქართველოს წარსულის ერთი მონაკვეთი და ამიტომ, წმინდა მხატვრულ ღირსებებთან ერთად, რომანს ეძლევა შემეცნებითი მნიშვნელობა.

მწერლის მიზანი ბევრად დიდია, ვიდრე ამას დასაწყისში წარმოიდგენს მკითხველი. უნებურად მაგონდება შესანიშნავი თქმა, რომ ნაწარმოების შვიდი მერვედი აისბერგის მსგავსად ზედაპირზე არ ჩანს. რომანში საქართველო მსოფლიო ორბიტაშია მოქცეული და ამის გამო იმ ცალკეულ ეპიზოდებსაც, რომლებსაც აქ ვხედავთ, უფრო დიდი დატვირთვა აქვს. ავტორის ყურადღების ცენტრშია ის მრავალმხრივად საინტერესო და საბედისწერო პერიოდი, რომელიც რენესანსის ცისკარზე იწყება აზიასა და ევროპას შორის. როგორც ვთქვი, ამ ბრძოლაში ჩათრეულმა საქართველომ დიდად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამ მოვლენას მსოფლიო ლიტერატურაში ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია, ამაზე პირველად ქართველმა ბელეტრისტმა თქვა მართებული სიტყვა.

თურმანი, ვაჩე, პავლია კუტი (ისე როგორც ლაშა „ლაშარელაში") [illegible] ბობს, ამით გვიხატავს იმ სულისშემძვრელ [illegible] ტორიი მტერსაც. ტრაგიკულ და ძლიერ ფიგურად წარმოგვიდგენს, მაგალითად, ჯალალედინს. სინამდვილეში ასეც იყო და რომანში მხატვრული სრულყოფით დახატულია ისტორიის მიერ განწირული ეს ძლიერი ნებისყოფის სულთანი. დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს რომანში ბატალური სცენები და აგრეთვე ჯალალედინის სიკვდილი. ეს მომენტი ისეა მოცემული, რომ დაუვიწყარ მხატვრულ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს.

აოხრებული საქართველოს აღწერით და თურმანის სიკვდილით ამთავრებს მწერალი თავის რომანს, მაგრამ დასასრული მაინც ოპტიმისტურად ჟღერს:— „საქართველო უკვდავია, ვაჩე! კიდევ ბევრჯერ გაიხსნება მისი ციხკარი!" ეს რწმენა ურყევია მრავალჭირგამოვლილი თორელისთვის.

ახლახან გამოვიდა გრ. აბაშიძის მოთხრობების კრებულიც — „სამი მოთხრობა". აქედან პირველ ორში—„ქვევრში" და „ცხოვრება წინ არი", მოქმედება ჩვენს დროში ხდება, ხოლო მესამე — „სისასტიკის გაკვეთილი"—წარსულის ფონზეა გაშლილი.

დაწერის მხრივ უფრო სრულყოფილი მეჩვენება „სისასტიკის გაკვეთილი", მაგრამ პირველი ორი, განსაკუთრებით მოთხრობა „ცხოვრება წინ არი", თუმცა განვლილ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების აქამდე მოუშუშებელ იარას ეხება. აქ ჩვენი ხალხის გულისტკივილია იმ ადამიანებზე, რომელთა ბედს ახლაც არაერთხელ გავიხსენებთ ხოლმე, რამდენი ასეთი პატიოსანი და წმინდა გულის არჩილი დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ იმ განუკითხაობის წლებში!

მოთხრობა დაწერილია დიდი მხატვრული ტაქტით, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე — აქ კი ეს შესაძლებელი იყო, სხვა ვინმე შეიძლება ვერ ასცდენოდა ამას,—რაც მეტ სახიცოცხლო ძალას ანიჭებს და უფრო შთამბეჭდავს ხდის ნაწარმოებს.

გრიგოლ აბაშიძის ორივე რომანი და მოთხრობები გამოირჩევა მაღალი კულტურით და ფართო ჰორიზონტით, რაც ხშირად აკლია ჩვენი ბოლო წლების პროზას.

მწერალი ქალის მარგო თომაძის პატარა წიგნს „თეთრი დედოფალის" სახით უმცროსი ასაკის ბავშვებმა ახალი საჩუქარი მიიღეს. ამ კრებულში, რომელიც გასული წლის ბოლოს „ნაკადულმა" გამოსცა, მოთავსებულია პატარ-პატარა ზღაპრები. მასში ცხრა ზღაპარია გაერთიანებული, რომელთაგან ერთი მოზრდილთათვის არის დაწერილი („თეთრი დედოფალი") და ეძღვნება ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, დანარჩენთა თემატიკა კარგად არის შეხამებული ნორჩ მკითხველთა სულიერ მოთხოვნილებებსა და ინტერესებთან.

თანამედროვე ზღაპარი

თითოეული ზღაპარი ავტორის მიერ ჩაფიქრებულ რომელიმე აღმზრდელობითი ხასიათის იდეაზეა აგებული და ზნეობრივი შთაგონების თხრობას შეიცავს. მაგალითად, „ფუტკარსა და დათვს" სარჩულად უდევს კაცთმოყვარეობისა და შებრალების იდეა, „ჩიტირეკია" გმობს ბოროტ ანცობას, რომელიც ღირსია სასჯელისა, „მხუნავ დათუნაში" ნაჩვენებია, თუ რა ცუდი შედეგები მოაქვს ლორმუცლობასა და სულწრაფობას, „მამაცა გოჭის" მოსმენისას პატარები ბუნებრივად შეიძულებენ ზარმაცობისა და უქნარობა-უზრუნველობის გამომხატველ პერსონაჟებს გოჭების სახით, რომლებიც მხოლოდ ჭამენ, ხვრინავენ და სურვილს არ უსრულებენ ავადმყოფ დედას, ხოლო სიყვარულით გაიმსჭვალებიან მამაცი გოჭისადმი, რომელიც მუდამ ფხიზელი, დაუზარელი და გამრჯეა, მის წესიერ ყოფა-ქცევას ყოველთვის კეთილი შედეგები მოსდევს...

ასევე მაღალიდეური მიზნითაა გამსჭვალული, ამავე დროს კი ხალისიანი, გამრთობი და დაძაბული ინტერესითაა გაცხოველებული სხვა ზღაპრებიც — „შაუბა მეთევზე", „ლეკვები", „რატომ ყეფიან ძაღლები?".

ბავშვებისათვის საგანგებოდ შეთხზულ ამ მცირეფორმიან ნაწარმოებებში, რომელთაგან ზოგი ქართული ხალხური სიტყვიერების ჯანსაღ მოტივებზეა აგებული, კარგად არის მონახული მხატვრული გადმოცემის ის კომპოზიციური ხერხები და პოეტური ფერადება, რომელთა მეშვეობით ადვილია მოზარდთა ხათუთი გონების კარის შეღება, ისე, რომ იქ გრძნობად-კონკრეტულ სურათებთან ერთად ნათლად აღიბეჭდოს და დამკვიდრდეს ჩვენი დიდი ეპოქისათვის შესაბამისი მაღალზნეობრივი ჰუმანური იდეები.

მწერლის მხატვრული სტილის ერთ ძირითად ღირსებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ნორჩთათვის განკუთვნილი მისი თხრობა აღბეჭდილია ქართული ხალხური ეპოსისათვის ჩვეული სიმარტივით, გამჭვირვალობითა და სინატიფით. აქ უხვად ვხვდებით გულში ჩამწვდომი უბრალოებით ჩამოქნილ გამოთქმებს, ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თავისი უშუალობითა და სისადავით ბავშვისავე ნაზი ხელით მოხაზულ გულუბრყვილო კონტურებსა და კომპოზიციებს მოგვაგონებს.

ამაზე მიგვითითებს თუნდაც თხრობის დამწყები ასეთი ენობრივი ფორმულები: „ოდესღაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით", „ერთ უღრან ტყეში", „ოდესღაც თურმე"... და მისთანანი. ამ ტრადიციულ თქმებს, სათანადო ინტონაციით წაკითხულს, რაღაც მომაჯადოებელი ძალა ეძლევათ, ისინი როგორც მეგზურნი, თითქოს საიდუმლოებით მოცულ, ჯერ შეუცნობელ სამყაროში შესახვლელად მოუწოდებენ მოზარდის ცნობიერებას და ცნობისმოყვარეობით აღანთებენ.

ავტორს კარგად გამოუყენებია ხალხური თხრობის სხვა სტილური ნიშნებიც, და მათ შორის კი, ჩვენი აზრით, ერთი ყველაზე საყურადღებო თავისებურება: ამბავში ჩაქსოვილ ერთნაირ სიტუაციათა თანამიმდევრობის აღმნიშვნელი ფრაზების რიტმული განმეორება, რაც ერთგვარ პოეტურ ელფერს ანიჭებს თხრობას და თავის მხრივ საუცხოო საშუალებას წარმოადგენს ენის (წარმოთქმის, კითხვის) გასაკვეთად, ეხმარება რა ამავე დროს მსმენელს სიუჟეტის ცხოვლად ათვისებაში.

ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელ სახეთა და გამოთქმათა ეს განმეორება არ არის ტავტოლოგია — უაზრო სიტყვათა მომაბეზრებელი ტკეპნა, არამედ შემოქმედებითი ხასიათის პროცესი. შესამჩნევია, რომ ყოველ განმეორებაში ახალი ლექსიკური ელემენტი ჩნდება, რითაც განმეორების ამ რგოლს განასხვავებს წინა რგოლისაგან და თქმათა მთელი ჯაჭვიც ამით წინ მიიწევს, ახალ-ახალ ცნებებსა და მოვლენებს შლის თვალწინ და თავისი სიმეტრიულობით, ჰარმონიული ხმოვანებით ესთეტიკურ ტკბობას იწვევს. ამის ნიმუშად გამოდგებოდა თუნდაც ჩვენი ბავშვებისათვის საკმაოდ ნაცნობი თქმები: „რწყილი ახტა, დახტა და მივიდა...", „მოდი ვენახო ვენახი, რამ შეგჭამა ვენახო?"., „მელია იცინის, იცინის კვდება სიცილითა", „ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ"... და მისთანანი, რომელთა შემცველ ნაწარმოებებს („რწყილი და ჭიანჭველა", „თხა და ვენახი", „მელია და მწყერჩიტა", „მებადურის შვილი" და სხვ.) ჩვენმა სახელოვანმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თვალსაჩინო ადგილი დაუთმო თავის სახელმძღვანელოებში და საკუთარ არაკებშიც ფართოდ გამოიყენა თხრობის ეს ნაცადი ხერხი.

მ. თომაძის ზღაპრების სტილი ფრაზების სწორედ ასეთი რიტმიკულ-მუსიკური განმეორებით აღწევს წარმტაცებას, მაგალითად: მიმართვა „ვენაცვალოს დედა, აღე, კარი ჩაკეტე" ექვსჯერ მეორდება ტექსტში, იმიტომ, რომ ავადმყოფი დედალორი თავის ექვს გოჭს რიგრიგობით მიმართავს თხოვნით (გვ. 15-19). ასევე მცირე ცვლილებით მრავალჯერ მეორდება ლეკვების დაჭადნება ეზოში სხვადასხვა დროს შემოსულ უცხო პირთა გასაძევებლად: „მე მაგას ვუწყვენ სეირს!"; „აბა ერთი ვიფრინოთ!".

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტორის მიერ ზღაპართა პერსონაჟებისათვის მონახული ბავშვთათვის სახალისო, გასართობი და აზრთან შეხამებული სახელებიც, როგორიცაა დათუჩა, ჩიტირეკია, ღრუჩუნა, კრუსუნა, ზარმაცა, მამაცა, შაუბა (შავი ფერის კატა), ხვადიკო და სხვ. ეს სახელებიც, ჩართულნი რიტმულ განმეორებათა ჯაჭვში, წარმოთქმის დროს ხალისიან ემოციებს იწვევენ.

ყველა ამის გამო სკოლამდელთა გონების შესაბამისად შექმნილი მ. თომაძის ეს ზღაპრები კარგ დიდაქტიკურ მასალად უნდა ჩაითვალოს აღმზრდელთა ხელში. მათ გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლიათ მოზარდთა ენის განვითარების საქმეშიც, განსაკუთრებით ტიკტიკის პერიოდიდან ჩამოყალიბებულ მეტყველებაზე გადასვლის დროს. და ბუნებრივია, თუ ამ მცირე წიგნაკმა უკვე მოიპოვა საკმაო პოპულარობა. როგორც ვიცით, საბავშვო ბაღის პედაგოგები ახლა ხშირად უკითხავენ მას ნორჩებს, რომლებიც დაძაბული ყურადღებით, თვალებგაბრწყინებული უსმენენ გასართობ ამბებს, თუ როგორ სასაცილოდ ცეკვავდა, მაგალითად, დათვის პაწაწა, მხუნავი ბელი კოდალას ნისკარტის კაკუნზე, როგორ გადაიპარა ის მელასთან ერთად ვენახში ყურძნის მისაროშევად: ან როგორ სასაცილოდ უყეფდნენ, ცმუკავდნენ და კოტრიალობდნენ ეზოში ძაღლის თეთრი ლეკვები ყურშა და კუსა, როგორ ამოიკანგლნენ ქვანახშირის მურში, მერე რომ ვეღარ იცნეს ერთმანეთი და ჩხუბი გამართეს.

ყველაფერი ეს კარგია, გამრთობი და მიმზიდველია. მაგრამ ამ კარგ ამბავთა რკალში, ჩვენი აზრით, ვერ მოექცევა „ვაშლა-გოგო", მიუხედავად იმისა, რომ იდეური მიზანდასახულობითა და ენობრივ-სტილისტური თვისებებით იგი არ ჩამოუვარდება სხვა ზღაპრებს. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ აქ ერთგვარად დარღვეულია მხატვრული ზომიერების გრძნობა. მასში დახატული გოგო ეგოიზმის, ლორმუცლობისა და, საერთოდ, მეცური ინსტინქტების განსახიერებაა. ის თავისი საშინელი კბილებით ხრავს და ნთქავს ვაშლის, მსხლის ხეებს, შემდეგ კი — ყოველნაირ ხეხილს, ქვეყანაზე გაწყვეტს მთელ მცენარეულს და ბოლოს ერთ გამხმარ, ბებერ იფანს მიადგება. მისი ღრღნის დროს კბილი ძირში გადაემტვრევა და ყბაც მოექცევა. ტკივილის განცდა მის გულში სინანულს წარმოშობს, თვალი აეხილება, შეიგნებს თავის დანაშაულს და კეთილ არსებად იქცევა.

ადამიანიშვილის, ამ შემთხვევაში, ვაშლა გოგოს ასეთი უხეში თვისებებით აღჭურვა, მისი დატვირთვა გაუგონარი საშინელებებით ვერ ეგუება ვერც ხალხურ პოეტურ ტრადიციას და ვერც ბავშვურ ფანტაზიას. გოგო (ქალიშვილი) თავისთავად სინაზის, სინორჩისა და სიფაქიზის გამომხატველი ცნებაა და მას ასოციაციურად ვერ დაუკავშირდება ფიზიკური მძლეთამძლეობისა და ველურობის ზემოხსენებული ჰიპერბოლიზაცია, რაც ასე არაბუნებრივად მოჩანს.

მოზრდილთათვის განკუთვნილი ზღაპარი „თეთრი დედოფალი", ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება განცალკევდეს უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დანიშნულ ნაწარმოებებისაგან.

საჭირო იყო მ. თომაძის ეს მიმზიდველი საბავშვო ზღაპრები მსხვილი, ლამაზი შრიფტით დაბეჭდილიყო და უკეთესი (ფერადი) ილუსტრაციებიც დართოდა.

ილია მაისურაძე



სურათებზე: მარცხნივ — რომი, მარჯვნივ — ვენეცია.
ნახატები უჩა ჯაფარიძისა.

ლიდია მეგრელიძე

ახალი საბავშვო ლექსები

დღეს აპრილია

ამოვა დილა და ჩემი გული
შენზე ფიქრებით მოივერცხლება,
„დღეს აპრილია,
დღეს აპრილია",
შემომჩიკჩიკეს ჩემმა მერცხლებმა.
შენ მოცქრიალდი ჩემს სასთუმალთან—
შემომაჭყიტე თვალებში ია
და მერცხალივით შემომჩიკჩიკე
„დღეს აპრილია,
დღეს აპრილია"!!.
დღეს აპრილია — დილა იების
და ჩანჩქერების მესმის შრიალი,
იებს მძივებად ჩაუწნევია
შენი თვალების ციმციმ-ცქრიალი.
დღეს აპრილია.

მზეო

მზეო, პირს ნუ იბურავ
ღრუბლის შავი ბლონდებით,
დილის ყოველ კისკასზე
შენს მოსვლას ველოდებით.
მზეო, დედათ-დედაო,
მზევ სიცოცხლის მომნიჭევ,
ნუ მოაკლებ სინათლეს
ჩვენს გოგონებს, ჩვენს ბიჭებს!

სამშვიდობო

ცისარტყელა,
ცისარტყელა,
ცისარტყელა,
ცის ტატნობი
შვიდმა ფერმა გადასერა...
გაიხარეთ გოგონებო,
ბიჭუნებო, —
მაისს მოაქვს
სამშვიდობო
სიმთა ჟღერა.

ახალგაზრდა გმირი დღეს

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ კარგი მემკვიდრეობა მიიღო —მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, რომლის გმირებმა, ძლიერმა და მიზანსწრაფულმა ინდივიდებმა, თავიანთი ხასიათით, საქციელით თუ პირადული მისწრაფებებით გამოხატეს ძირითადი ტენდენციები ქართული ხასიათისა, ქართული სულის განვითარებისა და, ამდენად, ეროვნული რაობის გამოხატულებად იქცნენ. მაგრამ ხალხის ხასიათის განვითარება, ისევე, როგორც ადამიანისა, არ მიდის ერთი სწორი გზით, იგი უამრავ განშტოებებსა და წინააღმდეგობებს გულისხმობს და, რაც უფრო სრულად აისახება მწერლობაში ეს ნაირგვარობა, მით უფრო დიდია ეს ლიტერატურა, მით უფრო იდეალურია ეს ხელოვნება და მით უფრო უკეთ ემსახურება იგი ხალხს. სწორედ ამიტომ არის, რომ ქართულ ლიტერატურაში შუშანიკის გვერდით არის ვარსქენი, ტარიელის გვერდით რამაზ მეფე, ნესტანის გვერდით ფატმანი, ლუხუმის გვერდით წიწოლა, არსენას გვერდით თეიმურაზ ხევისთავი, არსაკიძის გვერდით ფარსმანი, კვაჭის გვერდით არჩილ ფორია, მეჯის გვერდით ნაცომია და ასე შემდეგ. ამ გმირთაგან ხალხი არჩევს კარგს, მიჰყვება მას, სჯერა მისი, განიცდის მის ტკივილებს, ოცნებობს მისი ოცნებით. სწორედ ამ მიზეზთა და მიზეზთა გამო მხატვრული ნაწარმოების გმირის, მწერლობის გმირის როლი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მეტად დიდია.

• • •

ჩვენი სახელმწიფო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომლის ლიტერატურაში ახალგაზრდა გმირი ყოველთვის მომავლისა და პროგრესულის გამომხატველი იყო. და ამ გმირს ჩვენი ცხოვრება ყოველთვის სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებდა, სხვადასხვა ამოცანებს აძლევდა ამოსახსნელად. იყო სამოქალაქო ომი და იგი უნდა ყოფილიყო რევოლუციის ჯარისკაცი, იყო კოლექტივიზაცია, კულაკობა და იგი უნდა ყოფილიყო ახალი სოფლის მშენებელი, იყო სამამულო ომი და იგი უნდა დაუმარცხებელი ჯარისკაცი ყოფილიყო. და ჩვენი ლიტერატურა ყოველთვის იძლეოდა ამ გმირის დასამახსოვრებელ სახეს, რომლის ყოველი ახალი სახესხვაობა იმეორებდა იმ ყველა საუკეთესოს, რაც მის წინამორბედებს ახასიათებდათ. დღეს ცხოვრება ჩვენს წინაშე ახალ ამოცანას აყენებს — კომუნისტური საზოგადოება ფაქიზი სულისა, და ზნეობის, დიდი ინტელექტის ადამიანებს გულისხმობს და მხატვრულმა ლიტერატურამ აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას. და მან თქვა კიდეც. მოვიდა ახალგაზრდა გმირი, ახალი აზრებით, ჭეშმარიტებისკენ დაუოკებელი სწრაფვით. აქ შეიძლება კონკრეტულად თარიღიც, ადგილიც და გვარებიც დავასახელოთ. 1957 წელი. ჟურნალი „ცისკარი". დამწყები პროზაიკოსები გურამ რჩეულიშვილი და გურამ გეგეშიძე. ცოტა უფრო ადრე უნივერსიტეტში, ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზე მწვავე კამათიც კი გაიმართა. იყო თუ არა გეგეშიძის გმირი თანამედროვე ახალგაზრდის სახის ამსახველი. ამაზე დრომ გასცა პასუხი: გურამ რჩეულიშვილისა და გურამ გეგეშიძის ახალგაზრდა კაცი ჩვენი ლიტერატურის ორგანულ სახედ იქცა. მერე ჩვენს პროზაში მთელი არმია მოვიდა ახალგაზრდებისა რომელთაც ლიტერატურაში შემოიყვანეს ახალგაზრდა გმირი, შემოიტანეს ახალი თემები, ახალი იდეები, საუკუნოვანი საკითხების ახლებური გადაწყვეტა, მივიწყებული ამბების ჩხრეკა და გამომზეურება. აი ისინი: ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, სოსო კორინთელი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ ინანიშვილი, ჯემალ ახვლედიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ნატროშვილი, ნოდარ წულეისკირი, დავით ჯავახიშვილი, გიორგი ლაბაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე. იქნებ ზოგიერთი მათგანი უფრო ადრე მოვიდა მწერლობაში, მაგრამ მწერლობის ბევრი საკითხის ერთნაირად ხედვამ და გააზრებამ ბოლო წლებში დააკავშირა ისინი ერთმანეთს.

თავდაპირველად ბევრი რამ, რასაც მათ „მიაგნეს", დიდი ხნის ცნობილი იყო, ბევრი მათი მოთხრობა გულუბრყვილო და ხუსტი იყო, მაგრამ რაც მათ გააკეთეს, არ უნდა დავუკარგოთ, რაც ჩვენვე უფლებას მოგვცემს ამ სახის ავკარგისათვის მათვე მოვთხოვოთ პასუხი.

ახალგაზრდა მწერლების უმრავლესობისათვის დამახასიათებელმა საკუთარი თავისადმი ინტერესმა, თავიანთი განცდების კვლევამ, ბავშვობის გახსენებამ, ახალგაზრდა გმირის სახე მეტად თავისებური გახადა. მასში ძალიან ბევრია ახალგაზრდა მწერალთა — პირადული, ავტობიოგრაფიული, ის ზოგადი, რამაც თაობის ბიოგრაფია შექმნა. და ჩვენ ვიცით (ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის, არჩილ სულაკაურის, ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებებიდან), რომ ამ გმირის ბავშვობა ომს დაემთხვა და საკმაოდ მძიმე იყო. ომისდროინდელმა გაჭირვებამ თავისი დაღი დაასვა ამ ახალგაზრდა კაცის სულს. იგი მეტად მგრძნობიარეა და ფაქიზი, და როდესაც იკვლევს სხვისი თუ საკუთარ დანაშაულობათა მიზეზებს, აღმოაჩენს, რომ ომია ყველა ბოროტების სათავე და იგი მთელი თავისი არსებობით ბრალს სდებს მას. ეს არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი სახის ჩამოყალიბების გზაზე. ამის შედეგია, როგორც წესი, ყველა მწერლის შემოქმედებაში გაჩენებულია გმირის დავაჟკაცებისა და ჩვენ აქ უკვე ვხვდებით ჭაბუკს რომელიც შესანიშნავად გრძნობს ცხოვრებას, ზოგი რამ მოსწონს, ზოგ რამეს უარყოფს, მაგრამ ჯერ არ ქმნის არაფერს.

შექმნისა და შენების სტიქიური და დაუოკებელი სურვილი აწუხებს გურამ რჩეულიშვილის გმირს, გურამს („ალავერდობა"). გურამ რჩეულიშვილი იყო პირველი ახალგაზრდა მწერალთაგან, რომელმაც იგრძნო, რომ თვითანალიზი, ამა თუ იმ ზოგად პრობლემაზე დაფიქრება და მათი კვლევა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. აქ ალბათ ავტორის ნატურამაც თამაშა გარკვეული როლი, რომელიც ვერ სძლებდა ვერავითარ ჩარჩოებში და რომელსაც განცდილის და ნანახის სიძლიერე მუდმივი აქტივობისაკენ უბიძგებდა „აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში". გურამ რჩეულიშვილის გმირს იპყრობს ერთი, დიდი ვნება — „მისცეს ყველას მის გარემოში ერთი ინტერესი, მიზანი", მაგრამ მის სურვილებს არ ეწერა შესრულება. ახალგაზრდა მწერალი ტრაგიკულად დაიღუპა. თუმცა მისმა გმირმა სხვა სახით, სხვა ავტორთა ნაწარმოებებში მაინც განაგრძო სიცოცხლე. ცხოვრების დამკვიდრების, ყოველგვარი შეგუების, მეშჩანობის წინააღმდეგ იბრძვიან თამაზ ჭილაძის გმირები, მაგრამ ეს ბრძოლა, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც არ არის დრამატული. ჭილაძის გმირებს ბევრი რამ ანათესავებს გურამ რჩეულიშვილის გმირთან, მაგრამ მთავარი, ტემპერამენტი, უკომპრომისობა და დაუოკებელი სწრაფვა სიცოცხლისაკენ მათ მაინც აკლიათ. ბევრი რამ ანათესავებს მეთქი რომ ვთქვი, ვგულისხმობდი ცხოვრების ფაქტების განზოგადების უნარსა და მომხდარში ჩაწვდომის სურვილს. ყველაზე მკაფიოდ ეს გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში („სიკვდილი მთებში") —გამოვლინდა, რომლის გმირი, გურამი კონკრეტული ფაქტის განზოგადებით მიდის სიკვდილისა და სიცოცხლის არსის თავისებურ გაგებამდე. და ამ კონკრეტულის განცდა თუ განზოგადება გრძნობიერი კი არ არის, არამედ ინტელექტუალურია. მოთხრობის ცენტრში აზროვნების ესა თუ ის რიგი დგას ან გონებისა და გრძნობის შეჭიდება და არა ამა თუ იმ გრძნობის ჭიდილი. ეს იძლევა საბაბს, რომ მოთხრობის გმირებში ეპარებოდეს ყოვლისა, ინტელექტი შევიმჩნიოთ და დავაფასოთ. თუ ასე გავიგებთ ამ ტერმინს თამაზ ჭილაძის ცნობილი მოთხრობებიც („ვახვარონება პონის ეტლით", „შუადღე") შეიცავენ ინტელექტუალური პროზის ამ ნიშანს, თუმცა არა ასე, მკვეთრად გამოხატულს. მაგრამ ნუ გავაიგივებთ ამ ორი მწერლის გმირს, გურამ რჩეულიშვილის გმირები თითქმის არ იბრძვიან, მაგრამ ძლიერი ადამიანები არიან. თამაზ ჭილაძის გმირები თითქოს ცდილობენ გარკვეული მორალურ-ეთიკური პრობლემების გადაჭრას (ეს კი თავისთავად კარგია), მაგრამ ეს ცდები იმდენად უნიათოა და შინაგან მთლიანობას მოკლებული, რომ მათი სიძლიერისა არა გვჯერა. ფაქტიურად ეს ბრძოლა მხოლოდ საკუთარ თავთანაა. ჭილაძის გმირი საკუთარ „მეში" ამარცხებს მოწინააღმდეგის ცუდს. იგი ეძებს (ეს ყველასთვის საერთოა). ნახულობს (ესეც ყველასთვის საერთოა). მერე?

აქ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ჩერდებიან. როგორც ეტყობა ჭაბუკობიდან ვაჟკაცობაში გადასვლა მარტო ცოცხალ ადამიანებს არ უჭირთ. მე აქ უნებურად მახსენდება ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკური გმირის მეჯი ვაშაკიძის (კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი") ჭაბუკობა და დავაჟკაცება, მეჯის, რომელიც ვერ შეედრება თანამედროვე ახალგაზრდა გმირს თვითანალიზით, განცდათა სიფაქიზითა და ნაირფეროვნებით. მართალია, მეჯიც ეძებს თავის თავს და თავის ადგილს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ ამ ძიების არა ინტელექტუალურ, არამედ ფიზიკურ გამოვლენას. რამ განსაზღვრა მეჯის კლასიკურ სახედ ქცევა? არა მხოლოდ იმან, რომ რომანი კოლექტივიზაციის პერიოდს ასახავს (ეს ნაწარმოების გალარიბება იქნებოდა), საქმე ისაა, რომ მეჯის ხასიათი ქართველი ხალხის (მისი არსებობის ერთ მომენტში) ბედს იზიარებს—ამდენად იგი მკვეთრად ეროვნულია და ეპოქალურიც. თანაც მან, მეჯიმ, შეიმეცნა თავისი თავი და გარემო, ცნობისმოყვარეობის გამო კი არა, თავისი ხასიათის შინაგანი ლოგიკის გამო ჩასწვდა თავისთავის რაობას, თავისი, ადამიანის დანიშნულებასა და მიზანს. ამ ხასიათმა იგი გმირობამდე აამაღლა და მისთვის გმირობა უკვე თვისებაა, რომლის გამოვლენასაც მხოლოდ შესაბამი სიტუაცია სჭირდება. მთელი ეს პროცესი ჩვენ თვალწინ ხდება. ჩვენ მოწმე ვართ მეჯის გმირობისა.

ჩვენ მოწმენი ვართ ადამიანის დავაჟკაცებისა, რაც მის მოქმედებაში ჩანს. ეს ხაზგასასმელია და გასათვალისწინებელი.

გავიხსენოთ ისევ გურამ რჩეულიშვილი „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში".

თუმცა ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, ხელაღებით რომ უარვყოთ და არ დავაფასოთ ამ ჩიხიდან გამოსვლის ის ცდები, რომელიც ახალგაზრდებს ეკუთვნით.

ამ ორი-სამი წლის წინათ რევაზ ინანიშვილმა დაწერა მოთხრობა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", რომლის გმირი, საკმაოდ ნებისყოფიანი ქალაქელი ქალიშვილი სოფელში წასულა სამუშაოდ. არის ბევრი რამ ამ მოთხრობაში მისაღები და გასაგები, მაგრამ მე ვერ გავიზიარებ მოთხრობის გმირის დაუსაბუთებელ ანტიპათიას იმათ მიმართ, ვინც ქალაქშია. რატომღაც ქალაქში მხოლოდ ცუდები დარჩნენ, კარგი ქალიშვილი კი სოფელში წავიდა. მე არ მესმის ამ ქალიშვილის სიმპათია-ანტიპათიების არსი. რატომ აყენებს ის თავისთავს სხვებზე მაღლა? თუ ის თავისი მოწოდებით წავიდა სოფელში, იგი თვითონ არ უნდა გრძნობდეს ამ ნაბიჯში სხვებზე ამაღლების მიზეზს. ჩვენ მწერალმა უნდა დაგვარწმუნოს რომ ეს ქალიშვილი თავისი ბუნებით თუ საქციელით სხვებზე მაღალია. ვფიქრობ, ეს სახე საწყისშივე მცდარია, რადგან ქალაქისა და სოფლის გარკვეული დაპირისპირება უდავოდ საფრთხილოა. ეს კი უკვე დისჰარმონიას ქმნის და არ აძლევს გმირის ამაღლების საშუალებას. თუ ორ მეტოქეს შორის მოხვდი და ერთ-ერთის მხარე დაიჭირე, შენ ამ მხარეს დარჩები ან მეორეზე გადახვალ, ეს არც ისე ძნელია. უფრო ძნელია მესამე გზის მონახვა, რომელიც ყველაზე ჭეშმარიტია.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, საინტერესოა გიორგი ლაბაძის მოთხრობა „მატარებლები გადადიან ხიდზე", რომელიც გარკვეული ნაკლის მიუხედავად (მ. ჰემინგუეის „ფიესტასთან" რემინისცენციები), ჩვენი პროზის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ მოთხრობის გმირისათვის — ვაჟკაცისათვის მნიშვნელობა არა აქვს ქალაქში იმუშავებს თუ პროვინციაში. იგი უარს ამბობს „თბილ ადგილზე" იმიტომ, რომ ეს მისი ადგილი არაა. ერთ დღეს, თითქოს უნებურად, მაგრამ მისი ხასიათის და ნაწარმოების შინაგანი ლოგიკით სრულიად კანონზომიერად, იგი იგრძნობს ამას და მიდის თავისი პოსტის დასაკავებლად. ჩვენ ყველას გვაქვს ცხოვრებაში ჩვენი პოსტი, მაგრამ იშვიათად ვეკავებით მას. ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებ კაცი და იგრძნობ, რომ სულ სხვა იყო შენი მოწოდება, სხვა იყო შენი სამყარო, სხვა იყო შენი სიტყვები და საქციელი —ეს მოგონებასავით არის და მასავით იშვიათად ეწვევა ხოლმე ადამიანს. მაგრამ ადამიანმა უნდა იწვალოს თავისი თავის ძებნა და გზის მონახვა. ვაჟა ნახულობს გზას, მისიაც ნახულობს. „რწმენა უნდა გქონდეთ ახალგაზრდებო. რწმენა მთავარია ცხოვრებაში" — ეს აზრი არა მარტო ნაწარმოების, არამედ გმირის, უკეთ სახის ლეიტმოტივია.

ასევე სხვაგვარად დგას ახალგაზრდა კაცის დამოკიდებულება სოფელთან და ქალაქთან გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ნათელა", რომლის გმირი ვით გვხიბლავს თავისი სიძლიერით და საქციელთა უპრეტენზიობით, მისთვის სოფელში წასვლა გმირობა არაა, იგი სოფელში ნახულობს თავის სიძლიერეს და არ უცქერს სხვებს რომ ვერ ნახულობენ.

გიორგი ლაბაძისა და გურამ რჩეულიშვილის გმირი ძლიერი ადამიანია ინტელექტითა და მოქმედების პათოსით. ასეთივე სახით წარმოგვიდგება გურამ გეგეშიძის ახალგაზრდა გმირი მოთხრობებში „უსახელო მწვერვალი" და „სიმონე". ამ მოთხრობებში დასმულია პრობლემები სიკვდილ-სიცოცხლის რაობისა, ადამიანის არსებობისა, ადამიანის ადამიანისათვის ზრუნვისა, რომლებზეც პასუხი მარტო გმირის ინტელექტუალური ძიებით კი არ არის გაცემული, არამედ მისი მოქმედებითაც და ჩვენ ვართ მოწმე (განსაკუთრებით „უსახელო მწვერვალში") ადამიანის სიძლიერისა და უპრეტენზიო, თვალის ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ ნამდვილი გმირობისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გურამ რჩეულიშვილის („ნათელა"), გიორგი ლაბაძის („მატარებლები გადადიან ხიდზე") და გურამ გეგეშიძის („სიმონე", „უსახელო მწვერვალი") გმირები აგრძელებენ მოთხრობების „ალავერდობა" და „სიკვდილი მთებში" ხაზს —ძლიერი ადამიანის სახეების შექმნას. ეს მოთხრობები 1964 წელს დაიბეჭდა. 1957 წლიდან შვიდი წლის შემდეგ, დრო ბევრია, ახალგაზრდა მწერლების ორი მოთხრობა კი ცოტაა. და თანაც, რაც მთავარია, ეს არაა საკმარისი იმიტომ, რომ ძლიერი ადამიანი აბსტრაქტულად, კონკრეტული სიტუაციის, ცხოვრების კონკრეტული პრობლემების გარეშე, რომელიც იქნება გათვალისწინებული დროითა და ადგილით, ჯერ კიდევ ვერ ქმნის ხალხისათვის საჭირო ლიტერატურას. ხალხს კი თავის ტკივილზე და სიხარულზე საუბარი სჭირდება. მწერალი უნდა „ერის მოძმე იყო ჭმუნვასა და სიხარულში". ახალგაზრდა მწერლები ჯერ-ჯერობით დუმან. აქ თითქოს კარგი გამონაკლისია მერაბ ელიოზიშვილის „ჩიტის ჩიქილი", მაგრამ მასში გამოხატული მამხილებელი პათოსი არაა ძლიერი, არაა ასული დიდ პრინციპულ სიმაღლემდე. თუმცა ეს გამოქვეყნებაა პატარა მოთხრობას მეტი არ მოეთხოვება, მაგრამ რატომ არ იწერება რომანები? რატომ არ აწუხებთ ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს დიდი პრობლემები, ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები? განა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება არ გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდობის ყოფაში ბევრია არა მარტო კარგი, არამედ ცუდიც და დასაგმობიც. რატომ დუმს ამაზე მწერლობა?

ვფიქრობთ პასუხი ნაწილობრივ გაცემული იქნება თუ ვივარაუდებთ რომ ახალგაზრდების ნაწილმა ამოსწურა თავისი განცდები, თავისი პირადული გამოცდილება. ეხლა იგი, საჭიროა ხალხში გასვლა როგორც ამას წინათ აკეთებდნენ და ნამდვილი მწერლები დღესაც აკეთებენ.

ჩვენს მწერლობას სჭირდება რომანი, რომელშიც იქნება ასახული დღევანდელი დღე, თავისი ავ-კარგით და ახალგაზრდა გმირი, რომელიც გამოავლენს თავისი გონებით, თავისი განცდით, თავისი საქმეებით. ახალგაზრდა მწერლებმა აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან, რომელსაც ხალხი და დრო მოელის.

კობა იმედაშვილი

ჟურნალ „კრებულის" დაარსების ისტორიისათვის

ქართველ მწერლებს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დახურვის (1863 წ.) შემდეგ თავიანთი პერიოდული ორგანო აღარ ჰქონდათ. მხოლოდ 1866 წლიდან, გაზეთ „დროების" გამოსვლის შემდეგ, მიეცათ ჟურნალისტური მოღვაწეობის შესაძლებლობა, მაგრამ „დროებას", როგორც გაზეთს, მაინც უჭირდა მოზრდილი მხატვრული ნაწარმოებებისა და პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიების ბეჭდვა.

1869 წლიდან გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „მნათობმა", მაგრამ იგი თავიდანვე ავტორთა მცირე ჯგუფის ხელში მოექცა და ვიწროდ შემოფარგლა თავისი დანიშნულება. ამიტომ, ბუნებრივია, იგრძნობოდა ისეთი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალის საჭიროება, რომელიც „საქართველოს მოამბის" ტრადიციებს გააგრძელებდა და ახალი ეპოქის შესატყვისად გაშუქებდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებს.

გაზეთ „დროების" რედაქტორი ს. მესხი, რომელმაც 1869 წლის ნახევრიდან შეცვალა გ. წერეთელი, 1870 წლიდან [illegible] მოლაპარაკებას აწარმოებს გაზეთის ფორმატის გაზრდისა და დამატებების გამოცემის შესახებ.

„მე მინდა ზოგი ცვლილება მოვახდინო „დროებაში", — წერს იგი გ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში, — შეიძლება ფორმატი გამოვცვალო და ერთი თაბახის მაგივრად თაბახნახევარი გამოვცე კვირაში, ანა და ფასი დავუკლო ერთი მანეთი მაინც, თუ მეტი არა; შეიძლება, კიდევ, რომ გაზეთს ეხლანდელი ფასი დარჩეს, მაგრამ წელიწადში სამი დამატება მაინც გამოვცე (ხაზი ჩვენია — დ. ჩ.), თითო სამი ან ოთხი დაბეჭდილი ფორმატი".

გ. ლორთქიფანიძეს, თავის მხრივ, რჩევა მიუცია ს. მესხისათვის, რომ გაზეთის ფორმატის გაზრდის ნაცვლად, ოთხი დამატება გამოეცა წელიწადში.

ს. მესხი, დადებითად შეხვედრია ამ რჩევას და მაშინვე შეუდგომია საქმის მოგვარებას. მას, ცხადია, პირველყოვლისა, ნიკო ნიკოლაძესთან დაუწყია მოლაპარაკება, რის შესახებ კვლავ გ. ლორთქიფანიძეს აცნობებს იმავე წლის თებერვალში: „ნიკოს მივწერე, თუ სახსრებით შემომიდგება, ამ ორ თვეში გამოვსცემთ ერთ დამატებას წიგნათ, რომელიც „დროების" ხელისმომწერლებსაც დაურიგდება და ცალკეც გაიყიდება".

ნ. ნიკოლაძე, ცხადია, დათანხმდა. იგი მალე თბილისშიც ჩამოვიდა და მარტში ამხანაგად „დროების" რედაქტორი. დამატების გამოსაცემად მზადებაც უფრო გაქტიურდა. ს. მესხი ლიტერატურული ძალების შემოკრებას შეუდგომია. „ძმაო აკაკი! — წერს ს. მესხი ქუთაისში აკაკის 1870 წლის მარტში, — „დროების" რედაქცია ერთ სხირნიკს სცემს „დროებასთან" დამატებასავით, რომელსაც ექნებოდა ლიტერატურული ხასიათი. ამ კრებულში იქნება ერთი პუბლიცისტური სტატია, ერთი კომედია, ერთი მოთხრობა და კიდევ სხვა რამ სტატია. ამისათვის ჩვენ გვაკლია ლექსები, რომლის იმედი შენზედ მაქვს". ამასთან ს. მესხი ნატრობს მონახოს ისეთი ორიგინალური რომანი ან მოთხრობა, რომელშიც საქართველოს ცხოვრების სინამდვილე, ქართველი გლეხკაცის ყოფა იქნებოდა ასახული, რაც, აკაკის გარდა, გ. ლორთქიფანიძისთვისაც მიუწერია.

საპასუხო ბარათში გ. ლორთქიფანიძე ს. მესხს უთვლის პეტერბურგიდან: „შენ ამბობ ნეტავ ვინმე ერთ მოთხრობას დასწერდესო. ამ შენმა ნატვრამ დიდმარის მარწყვი მომაგონა. მაგრამ ერთს გეტყვი: ჰაჯჰაყაძეს სთხოვე „ელამის ნაამბობის" გაგრძელება".

როგორც ვხედავთ, გაზეთ „დროების" დამატებათა („კრებულის") გამოცემისათვის ზრუნვა ს. მესხმა წამოიწყო და საქმე წარმატებითაც მიჰყავდა. 1870 წლის 29 მარტს იგი უფრო კონკრეტულად წერს გ. ლორთქიფანიძეს „კრებულის" მომავალ ბედზე: „ამ წელს ოთხი სხორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა, სხვადასხვა მიზეზის გამო. ორი კი შეიძლება. პირველად, როგორც გწერდი, გამოვა მაისში, ან ივნისში და მეორე კი ნოემბერში ან დეკემბერში".

ამავე წერილში ს. მესხი თავის მეგობარს უზიარებს აზრს, რომ 1871 წლიდან ოფიციალურად უნდა გამოითხოვოს „დროების" დამატებების გამოცემის უფლება. „ვაისს, — წერს იგი, — ნებართვა უნდა ვითხოვო, რომ დროგამოშვებით სხორნიკების გამოცემის ნება მოგვცეს „დროების" დამატებასავით".

აქედან ნათელი ხდება, რომ კრებულები, რომლებიც გამოსაცემად 1870 წლის მიმდინარეობდა მუშაობა, ოფიციალურად „დროების" დამატებები კი არ იყო, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ წიგნები, რომლებსაც „დროების" რედაქცია სცემს, როგორც ხელისმომწერთათვის, ისე გასასყიდად.

როდის გამოვიდა „კრებულის" პირველი წიგნი?

ამ კითხვას ნათელს ჰფენს 1871 წლის გაზეთ „დროების" პირველ ნომერში დაბეჭდილი რედაქციის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ დღეებში გამოვიდა თბილისში ახალი ქართული წიგნი, სახელად „კრებული", რომელიც შეიცავს სხვადასხვა ორიგინალურ და ნათარგმნ სტატიებსა და მოთხრობებს. ეს წიგნი ახალწლისად დღეს დაურიგდა უფასოთ ჩვენი გაზეთის ქალაქელ ხელისმომწერლებს". ამასთან, „დროება" ქალაქგარეთელ ხელისმომწერთ ჰპირდება, რომ მომდევნო ფოსტით მათაც გაუგზავნიან ამ წიგნს.

ამგვარად, აღნიშნული წიგნი („კრებული") გამოვიდა 1870 წლის დეკემბერში. სხვა შემთხვევაში „დროების" ხელისმომწერნი მას ვერ მიიღებდნენ 1871 წლის პირველ იანვარს. მართალია, ცენზურის ვიზა გაცემულია 1870 წლის 30 დეკემბერს, მაგრამ ჩანს, ამჟამისათვის ეს ვიზა უნდა დაემატებინათ. სხვა მხრივ კი წიგნი, აწყობილი და მზადიყო, საცენზურო მზად იყო.

1871 წლის 19 მარტს, „დროების" მეორე ნომერში, ს. მესხი წერს: „მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენს ენაზე ორი ახალი წიგნი გამოვიდა, სახელად „კრებული". ახლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეხლა გ. წერეთელს განუზრახავს გამოსცეს ახალი ჟურნალი ამავე სახელით. [illegible]

მარტის, 1871 წლის ჟურნალ „მნათობის" მეორე ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

„დუშეთის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ამ წლიდან დაწყებული, გამოიცემა ახალი სალიტერატურო ჟურნალი ქართულ ენაზე — „კრებული". [illegible]

„კრებულის" რედაქციაში ნიადაგ მონაწილეობას მიიღებს ნ. ნიკოლაძე. [illegible]

[illegible]

«Вернувшись на родину..., я поселился весною 1870 г. в Тифлисе, и принялся сотрудничать в «Дроэба...» Расходясь резко в мыслях с покойным С. С. Месхи о большей части очередных вопросов дня, я условился с ним, после первых неудачных попыток совместного сотрудничества, что один номер газеты будет сплошь составлять он, а следующий — я. Летом 1870 года газета все время так и выходила, один номер целиком писался или составлялся мною или в моем духе, а другой редактором».

[illegible]

1871 წლის 25 იანვარს „სასოფლო გაზეთის" რედაქტორი გ. წერეთელი განცხადებით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალს და ითხოვს ჟურნალის გამოცემას:

«Желая издавать на грузинском языке ежемесячный литературный журнал под названием «Сборник» всеподданейше осмелюсь просить в. и. в разрешить мне издание этого журнала...»

განცხადებას ერთვის ჟურნალის პროგრამაც, რომლის მიხედვით „კრებულს" ეჭირა გამოცემის ნებართვა.

საქმის ხათაბალა შემდეგში შეიცვალა. [illegible]

ამ ნებართვის მიღების შემდეგ ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა სარედაქციო განცხადება „კრებულის" გამოცემის შესახებ. [illegible]

[illegible]

მაშასადამე ამისა, „დროებასა" და „კრებულს" შორის მაინც მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. [illegible]

[illegible] ბული ავტობიოგრაფიული წერილი, რომელშიც ნ. ნიკოლაძე პირდაპირ წერს:

«В конце года (1870 г. — Д. Ч.) я основал журнал «Кребули», который и вел единолично до лета 1871 года, когда смерть моего отца заставила меня покинуть Тифлис».

ამავე წერილიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდში გ. წერეთელი მხოლოდ ფორმალურად იყო „კრებულის" რედაქტორი:

«В «Кребули» я дал место и статье Г. Церетели об университете...» (გამოქვეყნდა „კრებულის" 1871 წ. მეხუთე ნომერში — დ. ჩ.) — ამბობს ნ. ნიკოლაძე, რითაც აშკარა ხდება, რომ ჟურნალს გ. წერეთელი კი არ ხელმძღვანელობს, არამედ — თვითონ ნ. ნიკოლაძე.

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომ „კრებული", როგორც „დროების" ლიტერატურული დამატება გ. წერეთლის რედაქტორობით 1871-1873 წლებში გამოდიოდა, გარკვეულ კორექტივს საჭიროებს. ეს კორექტივი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: 1. „კრებულის" გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის ს. მესხს, რომელმაც 1870 წლის გაზაფხულზე დაიწყო პირველი ორი წიგნის გამოსაცემად მომზადება. მომზადების პროცესში კი ამ საქმის ხელმძღვანელობა, ფაქტიურად, ნ. ნიკოლაძემ იტვირთა; 2. „კრებულის" პირველი წიგნი გამოვიდა 1870 წლის დეკემბერში (აქედან უნდა დაიწყოს ამ ჟურნალის ისტორიაც), მაგრამ იგი ოფიციალურად არც ჟურნალი ყოფილა და არც „დროების" ლიტერატურული დამატება. ამავე სახით გამოვიდა „კრებულის" მეორე ნომერიც (1871 წლის იანვარში); 3. „კრებულის" ჟურნალად გამოსვლის ოფიციალური ნებართვა გამოითხოვა გ. წერეთელმა (ნ. ნიკოლაძის თხოვნით) 1871 წლის თებერვალში. ოთხივე დამატებული და „კრებულმა" 1871 წლის მარტიდან გამოსვლა დაიწყო, როგორც დამოუკიდებელმა ლიტერატურულმა ჟურნალმა, მაგრამ მისმა ფაქტიურმა რედაქტორმა ნ. ნიკოლაძემ მარტის „კრებული" ისე კი არ გამოსცა, როგორც პირველი ნომერი, არამედ — [illegible]

დალი ჩიქვილაძე

სომეხი მსახიობების გასტროლები

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი სომეხი კლასიკოსის ჰ. პარონიანის კომედიამ „ძია ბაღდასარმა" სომხეთის გარეთაც გაითქვა სახელი. იგი წარმოადგინეს მოსკოვის ერმოლოვას და ბაქოს აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. კარგახანია, რაც ეს კომედია შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრშიც წარმატებით იდგმება. ამჟამად ამ სპექტაკლისადმი დიდია თბილისელი მაყურებლის ინტერესი, რადგან სომხეთის ლენინის და ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრის მსახიობებმა ვ. ვართერესიანმა, ფ. მკრტჩიანმა და ს. აბრამიანმა თავიანთი გასტროლები სწორედ „ძია ბაღდასარით" დაიწყეს.

შაუმიანის სახელობის თეატრის დარბაზში ტევა არ იყო... იწყება სპექტაკლი. ჩვენს წინ იშლება ლამაზი სანახაობა. ვიხიბლებით ვ. ვართერესიანის ანუშის სინაზით, ს. აბრამიანის მიერ განსახიერებული ქიბარის მოხდენილი გარეგნობით, ხოლო მაყურებლის ოვაციებს საზღვარი არა აქვს, როცა სცენაზე ფ. მკრტჩიანი — ბაღდასარი შემოდის. მისი თამაში აღსავსეა მოულოდნელობით, სინატიფით, გულუბრყვილობით.

ჩვენს დედაქალაქში სომეხი მსახიობების გასტროლები შემთხვევითი მოვლენა როდია. მათ კარგად იციან, რომ შაუმიანის სახელობის თეატრის კოლექტივი ღირსეულ პარტნიორობას გაუწევდა.

ეს ასეც მოხდა. იგრძნობოდა ჰარმონიულობა, ანსამბლურობა. ერევნელ კოლეგებს მხარს უმშვენებდნენ საქართველოს და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ლ. ამირბეკიანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ბაკრაძიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები რ. სიმონიანი, ა. არშაკუნი და სხვები.

სომეხი მსახიობების გასტროლებმა გაახარა თბილისელი მაყურებელი.

თამარ გომართელი

სურათზე: (მარჯვნიდან): ფ. მკრტჩიანი (ბაღდასარი), ს. აბრამიანი (ქიბარი), ვ. ვართერესიანი (ანუში), ლ. ამირბეკიანი (მოსამართლე).

ახალი დადგმები

„აქვარიუმი"

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მცირე დარბაზში უჩვენა ახალი სპექტაკლი „აქვარიუმი". [illegible]

ოპერა ბავშვებისათვის

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ვ. გოკიელის [illegible]

„ფერია საშა ქუჩაზე"

[illegible]

„მილიონერი ქალი"

[illegible]

სოხუმის თეატრი თბილისში

[illegible]

კეთილშობილურ საქმეს ემსახურება

[illegible] ალექსანდრე იმედაშვილზე შექმნილ კომპოზიციებს. მსახიობი გვეხმარება ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ი. ქურიძე.

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი.

კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა დიდ მუშაობას ეწევა ბერძნულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა და ბერძნულ-ლათინური ენებისა და ლიტერატურის საკითხების შესასწავლად. ამ საქმის სათავეში ჩაუყენა პროფესორმა გ. წერეთელმა და შემდეგ წარმატებით განაგრძო მისმა უახლოესმა თანამშრომელმა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა. მან რამდენიმე ტომად გამოსცა ბერძენ ავტორთა მოთხრობები საქართველოზე, პირველად გააშუქა ბერძნული ანტიკური მწერლობის საკითხები ქართული კულტურის პოზიციებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს თ. ყაუხჩიშვილისა და ნ. ქეჩაღმაძის გამოკვლევები საქართველოზე სხვადასხვა ბერძენ ავტორთა ცნობების ირგვლივ. ამავე თემაზე მუშაობენ ალ. გამყრელიძე, ა. ურუშაძე, ნ. ლომოური და სხვ. ფართოდ გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკ. ურუშაძის ფუნდამენტური ნაშრომი — „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში". ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კათედრის სხვა წევრებიც, მაგალითად, ევრიპიდეს დრამების მთარგმნელობით ხელოვნებაზე მუშაობს დოც. თ. ფუმალიშვილი.

მუშაობის უფრო ინტენსიურად წარმართვისათვის ამ ხუთი წლის წინათ კათედრის ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კლასიკური ფილოლოგიის განხრა, რომლის შემდგომში განკუთვნილებად ჯგუფი უფრო უკეთეს შედეგებს მოიტანს სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად. ამჟამად კლასიკური ფილოლოგიის დარგში საკანდიდატო დისერტაციებზე მუშაობენ და თავიანთ სპეციალობაში მრავალი აქტუალური საკითხის გადაწყვეტას უკავშირდებიან ალ. ალექსიძე, ვ. გორდეზიანი, ლ. ასლამაზიშვილი, ლ. კახიძე და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ლათინური ენის სპეციალისტი ბევრი არა გვყავს. ამიტომ კათედრამ, პირველად უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ლათინურ ენაში მოსამზადებლად მიზნით ასპირანტურად აიყვანა ორი სპეციალისტი — ც. გიგაური და ი. ვაიგა.

საინტერესოა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგის პროფ. პ. ბერაძის მუშაობა ქართული კულტურის ნიადაგზე ჰომეროსის ენისა და სხვა რეალიების შესწავლის მიზნით. იგი თავის დროზე იკვლევდა აგრეთვე ბერძნულ-ქართული ლექსწყობისა და ჰომეროსის პოეტიკის ზოგიერთი თავისებურების საკითხებს. ამის შედეგად მომზადდა კრებული „ჰომეროლოგიური ძიებანი".

კათედრის წევრები მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევიან. პროფ. პ. ბერაძემ თარგმნა და დასაბეჭდად გადასცა ჰომეროსის „ოდისეა", მანვე ეკუთვნის ცნობილი რომაელი პოეტის ლუკრეციუსის შემის „საგანთა ბუნებისათვის" და ვერგილიუს „მწყემს" თარგმანი. მისი რედაქციით გამოვიდა პ. ქავთარაძის ბერძენ-რომაელ ავტორთა თარგმანები და დემოკრიტეს და არისტოტელეს მეტაფიზიკა. ამჟამად იგი მუშაობს „ეპისტოლეების" ლათინურ თარგმანზე. აქვე უნდა დავასახელოთ აკ. ურუშაძის მიერ თარგმნილი პლუტარქეს „შედარებითი ბიოგრაფიების" პირველი ტომი. მიმდინარეობს მუშაობა სხვა ტომების გამოცემისათვის.

ზაურ კილაძე

ქართული ნოველები ინგლისურ ენაზე

MINDIA, THE SON of HOGAY

გამომცემლობა [illegible] ქართული ნოველების კრებული. კრებულში მოთავსებულია ა. ყაზბეგის „ხოგაის მინდია", ლ. შენგელაიას „განძი", მ. ჯავახიშვილის „უბაჩამ დაიგვიანა", ლ. ქიაჩელის „ალმასური კიბულანი", ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი", ა. ბელიაშვილის, ლ. გოთუას, ს. კლდიაშვილის, გ. ნატროშვილის, ო. ჩხეიძის, ი. ლორთქიფანიძის, გ. მატბერაშვილის, ი. [illegible] და ა. სულაკაურის ნოველები. ნოველებს დართული აქვს ავტორთა პორტრეტები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

მწერალთა კავშირში

ამ დღეებში დრამატურგთა სექციამ მოისმინა დრამატურგ ა. პატარაიას ახალი პიესის „თეიმურაზ პირველის" კითხვა-განხილვა. პიესის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მ. ბარათაშვილმა, [illegible], შ. ღვინიძემ, გ. კორძაიაშვილმა და გ. ქარელიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ პიესა აქტუალურ თემაზეა დაწერილი და სიუჟეტურადაც საინტერესოდ არის მოფიქრებული, მაგრამ ჯერ კიდევ ესაჭიროება შემდგომი დახვეწა და დამუშავება.

ა. პატარაიამ კამათის დროს გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა გაიზიარა, აღნიშნა, რომ პიესა ჯერჯერობით საბოლოოდ დახვეწილად არ მიაჩნია და შემდგომი მუშაობის დროს გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებს.

• • •

დრამატურგთა სექციის სხდომაზე მოისმინეს [illegible] ახალი პიესა-ზღაპრის — „კოკოლა" კითხვა-განხილვა. პიესის ირგვლივ თავიანთი აზრი გამოთქვეს გ. მატბერაშვილმა, ი. [illegible], მ. ბარათაშვილმა, გ. ქარელიშვილმა, ა. [illegible], გლ. [illegible], გ. ქელბაქიანმა, ქს. ხაჩიძემ და მიხ. მრევლიშვილმა.

ორატორებმა კრიტიკულად მოიწონეს პიესა. მათ აღნიშნეს, რომ ქ. [illegible] პიესა-ზღაპარი „კოკოლა" მხატვრულად და დრამატურგიულად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, იგი ყურადღებას იქცევს კომპოზიციური სიმტკიცით, დახვეწილი ენით და ცოცხალი, მოქნილი დიალოგით. გამოითქვა აგრეთვე ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც ავტორმა გაიზიარა.

ორშაბათი მწერალთა კლუბის დღეა!

ორშაბათს, 12 აპრილს საქართველოს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიმართება ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულთა კონცერტი.

კონკურსის შედეგებზე სიტყვით გამოვა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი სულხან ცინცაძე.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მაყვალა ქასრაშვილი, ნანა იაშვილი, გურამ მარტინენკო, ნანა ხუბუტია, ვაჟა კუბლაშვილი, თემურ მაისურაძე, ანზორ შომახია, ლევან ჩხეიძე, ელზა გარსევანიშვილი, რეზო მახარაძე, მაკარი ალატაძე, მანანა დოიჯაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა თავისუფალია.

იუმორი

ბიძია სოლომონის აღმოჩენა

როცა მაშვრობის უდარდელი და უზრუნველი წლები ხელიდან გამეცრინდა და ჩემს წინ გადაშლილი ცხოვრების ასპარეზს მივადექი, ნარ-ეკლიანი მიღიკები და წინააღმდეგობებით აღსავსე გზები მეუმრავლა არ დამრჩენია. [illegible]

[illegible]

— ფერწერაში აბსტრაქციონისტები, — განაგრძო სოლომონმა, — ხშირად ისეთი უცნაური ფერების მიღებას ცდილობენ, რომ ალტყლებას ვერ დამალავ. [illegible]

[illegible] სოლომონის სიტყვებმა დედაჩემს თვალებში ნათელი ჩაუყენა, მე კი სიხარულით ცას ვეწიე. ჩემი მომავალი ცხოვრებაში სწრაფად განესაზღვრე. წუთით თავი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე წარმოვიდგინე. ჩემს ქვემოთ ვხედავდი ჩვეულებრივ [illegible] დიდი მაქვს, რომ ბიჭი ხარ და შემომეფდები, თქვი „არ ვარგა-თქო". მე ათასჯერ გიპასუხებ: „კარგია-მეთქი" და დღემოვით „მოგეწონოს". შემდეგ კიდევ დაგარწმუნებ, რომ შენ არა გაქვს გემოვნება. თვალთახედვა, ახლის შეგრძნება და, საერთოდ ხელოვნებისა არაფერი გესმის.

ანზორ ბეშიძე

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, გ. ქლენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 68449

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 17, ტელეფონი — 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტა 05506